

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
National Academy of Sciences of Georgia

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი

David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish
Relations

**მწერლის, ფილოსოფოსისა და მთარგმნელის
შალომ დავიდიშაძემი
მიძღვნილი ინტერდისციპლინური სამეცნიერო
კონფერენცია**



**Interdisciplinary Scientific Conference
Dedicated to the Writer, Philosopher and Translator
Shalom David**

**პროგრამა / თეზისები
Program / Abstracts**

სექტემბერი 10-11 September
თბილისი 2025 Tbilisi

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
National Academy of Sciences of Georgia

**დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი**
David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and
Georgian-Jewish Relations

თსუ მუზეუმი
TSU Museum

რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე - 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation at the plenary meeting – 20 minutes

Presentation at the section meeting – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

სექტემბერი 10 September

11.00

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია Registration of the Conference Participants

ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, თსუ-ის I კორპუსი, II სართული,
სააქტო დარბაზის ფოიე
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Assembly Hall Foyer

11.30 –13.00

კონფერენციის გახსნა/Opening of the Conference

ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, თსუ-ის I კორპუსი, II სართული,
სააქტო დარბაზის ფოიე
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Assembly Hall Foyer

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

Academician Jaba Samushia

Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Professor Darejan Tvaltvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Dean of the Faculty of Humanities

მისალმებები

Greetings

13.00. – 14.00

შალომ დავიდისადმი მიძღვნილი გამოფენა
Exhibition dedicated to Shalom David

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ის I კორპუსი, მეორე სართული,
თსუ-ის მუზეუმი
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, TSU Museum

14.00-14.30

შესვენება/Break

14.30

შალომ დავიდის საჯარო ლექცია
ბიბლიისა და თანამედროვე მეცნიერების შეხების
წერტილები

Shalom David Public Lecture
Intersections between the Bible and Modern Science

ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, თსუ-ის I კორპუსი, II სართული,
სააქტო დარბაზის ფოიე
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Assembly Hall Foyer

სექტემბერი 11 September

10.30–12.00

პლენარული სხდომა/Plenary Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ის I კორპუსი, ოთახი 206
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 206

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
Chairperson – Professor Darejan Tvaltvdze

ირაკლი ბათიაშვილი

Irakli Batiashvili

შალომ დავიდის რეფლექსიები რაბი შნეურ ზალმანის კაბალისტურ ფილოსოფიაზე

Shalom David's Reflections upon the Philosophy of Rabbi Shneur Zalman

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მარიკა მშვილდაძე

Marika Mshvildadze

შალომ დავიდი – ებრაელთა ისტორიისა და კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი

Shalom David – A Prominent Researcher of Jewish History and Culture

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ლალი გულედანი

Lali Guledani

ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ლიტერატურა – შალომ დავიდის „ჰაფთაროთ“

Georgian-Language Religious Literature Published in Israel - Shalom David's "Haftaroth"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ilia State University

გივი ღამბაშიძე

Givi Gambashidze

საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის ფურცლები

Pages of the History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელები და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი/David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations

12.00-12.30

შესვენება/Break

12.30 – 16.30

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, თსუ-ის I კორპუსი, ოთახი 206
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 206

სხდომის თავმჯდომარე – ასოც.პროფესორი ანა ხარანაული
Chairperson – Associate Professor Ana Kharanauli

ანა ხარანაული

Anna Kharanauli

ფრაზეოლოგიური იდიომი მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ თარგმანებში

Phraseological Idioms in the Old Georgian Versions of the Minor Prophets

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თამარ მაგრაქველიძე

Tamar Magrakvelidze

ბიბლიის ტექსტი არაბიბლიურ ხელნაწერებში

The Biblical Text in Non-Biblical Manuscripts

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნათია მიროტაძე

Natia Mirotadze

უმცროს მთარგმნელთა მარგინალური იკითხვისების ერთი ფუნქციისათვის

Marginal Readings of the Alternative Greek Versions in the MS Sources of the Georgian Bible

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი/
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

ნინო გიორგაძე

Nino Giorgadze

ძვლებერძნულ წინდებულთა (εις და προς) ეკვივალენტები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ ვერსიებში

Equivalents of the Greek Prepositions εις and προς in the Old Georgian Versions of the Minor Prophets

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ლალი ვაშაკმაძე

Lali Vashakmadze

„მთარგმნელთა კოშმარი“ – იდიომებისა და ორიგინალის ენის სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის გადმოტანა ივდიითის წიგნის ძველ ქართულ თარგმანში

Translator's Nightmare – Rendering Idioms and Different Syntactic Constructions of the Original into the Old Georgian Translation of the Book of Judith

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო ვარდიაშვილი

Nino Vardiashvili

აგრარული ტერმინები მცირე წინასწარმეტყველთა ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში

Agricultural Terms in the Oshki and Jerusalem Manuscripts of the Minor Prophets

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

მარიამ თხინვალი

Mariam Tkhinvaleli

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი (პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების მიხედვით)

The Style of the Recension of George the Hagiorite (According to the pericopes of Minor Prophets Preserved in the Prophetologia)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

12.30 – 16.30

სხდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ის I კორპუსი, ოთახი 212
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 212

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი დარეჯან გარდავაძე

Chairperson – Professor Darejan Gardavadze

თამარ დოლიძე

Tamar Dolidze

უძველესი ცნობები ებრაელ ხალხზე ქართულ სალიტერატურო წყაროებში

Ancient References to the Jewish People in Georgian Literary Sources

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია/*National Academy of Sciences of Georgia*

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივრითის ისტორიული ტრანფორმაცია და ებრაული ენის აკადემია

Historical Transformation of Hebrew and the Academy of the Hebrew Language

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

დარეჯან გარდავაძე

Darejan Gardavadze

როგორ იქცევა ტრაგიკული კომიკურად... ტრაგიკომიზმის ფუნქცია ოსამა ალ-ისას რომანში „ბეთლემის გიჟები“

How Tragic Turns into Comic: The Function of Tragicomicism in Osama al-Issa's Novel *The Madmen of Bethlehem*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

გიორგი ჯღარკავა

Giorgi Jgharkava

პარემიოლოგიური შრეები ებრაული პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებში

Paremiological Layers in Jemal Ajiashvili's Translations of Hebrew Poetry

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

რუსუდან ჭანტურიშვილი

Rusudan Chanturishvili

ქეთევან ბურჯანაძე – თარგმანის თეორეტიკოსი და მთარგმნელი

Ketevan Burjanadze – Translation Theorist and Translator

თამარ მღებრიშვილი

Tamar Mghebrishvili

დაუმორჩილებლობის პოეზია: პოლიტიკური აქტივიზმი და წინააღმდეგობა ალექსანდროს პანალულისის ლექსებში

The Poetry of Disobedience: Political Activism and Resistance in the Poems of Alexandros Panagoulis

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

სალომე ლომოური

Salome Lomouri

მირზა გელოვანის მეტრიკა

The Metrics of Mirza Gelovani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

12.30 – 16.30

სხდომა III Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ის I კორპუსი, ოთახი 201
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 201

სხდომის თავმჯდომარე – ასოც. პროფესორი

მამუკა ბუცხრიკიძე

Chairperson – Associate Professor Mamuka Butskhrikidze

გიორგი ალიბეგაშვილი

Giorgi Alibegashvili

„თვალთაღს“ ბივრილი და წმიდა ნინო

“Tvaltai” Beryl and Saint Nino

წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი/*Saint Andrew the First-
Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

მამუკა ბუცხრიკიძე

Mamuka Butskhrikidze

აბელის სახისმეტყველება ძველსა და ახალ აღთქმაში

Abel's Metaphor in the Old and New Testaments

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

დალილა ბედიანიძე

Dalila Bedianidze

წიგნი „ქება ქებათა“ და მისი კომპოზიცია

The Book of the “Song of Songs” and Its Composition

თსუ შოთა ჰუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

მაია კაკაშვილი

Maia Kakashvili

„ქებათა ქების“ გრიგოლ ნოსელისეული განმარტება და მისი წინამძღვრები ებრაულ ტრადიციაში

Gregory of Nyssa's Interpretation of the "Song of Songs" and its Preconditions in the Jewish Tradition

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ლიანა (ლია) ბაშელეიშვილი

Liana (Lia) Basheleishvili

„ქებაჲ ქებათაჲს“ ბაქარისეული ბიბლიის რედაქციის (1743) თარგმანის კულტურულ-კოგნიტური ასპექტები

Cultural-Cognitive Aspects of the Translation of the “Song of Songs” of the Bakari Bible Edition (1743)

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ეკატერინე ნავროზაშვილი

Ekaterine Navrozashvili

„შირ ჰაშირიმის“ ქართული თარგმანი: „ქებათა-ქება შელომო მეფისა“

The Georgian Translation of “Shir Hashirim”: “King Shelom’s Praise of Praises”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო სამსონია

Nino Samsonia

„ქებათა ქება“: გამოძახილები შუამდინარულ ლიტერატურაში
The "Song of Songs": Echoes in Mesopotamian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

12.30 – 16.30

სხდომა IV Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ის I კორპუსი, ოთახი 201^o
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 201^a

სხდომის თავმჯდომარე – ასოც. პროფესორი

ქეთევან ლორთქიფანიძე

Chairperson – Associate Professor Ketevan Lortkipanidze

ელენე გეგეშიძე

Elene Gegeshidze

ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივები

Future Prospects for Georgian-Jewish Cultural Relations

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ინგა ზაბახიძე, ქეთევან ლორთქიფანიძე

Inga Zabakhidze, Ketevan Lortkipanidze

ქართველთა და ებრაელები ეპისტოლური მემკვიდრეობა (სიმონ შათაშვილისა და გენადი სადუნიშვილის მიმოწერის მაგალითზე)

Epistolary Heritage of Georgians and Jews (On the Example of the Correspondence of Simon Shatashvili and Genadi Sadunishvili)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

ქალთა ზეპირი ისტორიები და ტოტალიტარიზმის მეხსიერება (მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებული გერმანელი ებრაელები საბჭოთა კავშირში ერთი ოჯახის მაგალითზე)
Women's Oral Histories and the Memory of Totalitarianism (German Jews Repressed During World War II in the Soviet Union on the Example of One Family)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქეთევან ლორთქიფანიძე, ინგა ზაბახიძე

Ketevan Lortkipanidze, Inga Zabakhidze

კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის ადგილი მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში

Composer Joseph Bardanashvili's Place in the World of Music

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ფიქრია ვარდოსანიძე

Pikria Vardosanidze

ებრაელთა განათლება საქართველოში (ისტორია და თანამედროვეობა)

Jewish Education in Georgia (History and Modernity)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თამარ ტყემალაძე

Tamar Tkemaladze

გმირობა და მსხვერპლი: ქალთა როლი საბჭოთა ებრაულ დისიდენტურ მოძრაობაში

Heroism and Sacrifice: The Role of Jewish Women in the Soviet Jewry Movement

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University



თეზისები/Abstracts

შალომ დავიდის რეფლექსიები რაბი შნეურ ზალმანის
კაბალისტურ ფილოსოფიაზე

**SHALOM DAVID'S REFLECTIONS UPON THE PHILOSOPHY
OF RABBI SHNEUR ZALMAN**

ირაკლი ბათიაშვილი

Irakli Batiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ხასიდიზმი, ებრაული მისტიციზმი, ორი სული,
ტრანსცენდენტალური თანმიმდევრობა

Keywords: Hasidism, Jewish mysticism, two souls, transcendental sequence

ქართული ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციისათვის სათანადო ყურადღების საგანია ებრაული ფილოსოფია: მისი გენეზისი, ისტორიული განვითარების გზები და მიმართულებები, დიდი წარმომადგენლები და, რაც მთავარია, მისი უმნიშვნელოვანესი იდეები და კონცეპტები. ეს მით უმეტეს ღირებული ხდება ჩვენთვის, ე.ი. ქართული საზოგადოებისათვის, როდესაც საქმე ეხება საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ებრაელი მოაზროვნის მეტად ღირსშესანიშნავ, საყურადღებო ნაშრომს, სახელდობრ, შალომ დავიდის წიგნს - „ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფია რაბი შნეურ ზალმან ლიადელის წარმოსახვებში“. ჩემი ამოცანაა ამ ნაშრომის გარკვეული მნიშვნელოვანი ასპექტებისა და მომენტების მკაფიოდ წარმოჩენა და ექსპლიკაცია, რაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს ჩვენთვის ავტორის ფილოსოფიური აზროვნების ზოგად ხასიათსა და ინტენციას.

შალომ დავიდის წიგნი ეძღვნება ხასიდიზმის მიმდინარეობის გამოჩენილი ფიგურის - რაბი შნეურ ზალმანის - ფილოსოფიური სისტემის ანალიზსა და განმარტებას. აქვე საგულისხმოა, რომ ავტორი თავის წიგნს იწყებს მე-18 საუკუნის ამ ფილოსოფოსის ბიოგრაფიული ცნობებით, სადაც თვალნათლივ ჩანს მისი ცხოვრების მეტად რთული გზა, აღსავსე ტანჯვითა და ზნეობრივი შემართებით. ამით შალომ დავიდი ხაზს უსვამს ცხოვრების გზისა და აზროვნების წესის ორგანული ურთიერთკავშირის მნიშვნელობას ქვეყნარბი ფილოსოფოსისათვის.

მართალია, ავტორი თავის კვლევის მეთოდს ახასიათებს როგორც უფრო მეტად დესკრიპტულს, ვიდრე ანალიზურს, მაგრამ ამ გზაზე იგი თანმიმდევრულად და სიღრმისეულად განმარტავს შნეურ ზალმანის ტრაქტატის - „თანას“ - საკვანძო მნიშვნელობის მქონე იდეებს და პასაჟებს; ასევე მათ პირველდანყებით სათავეებსა და მათ მიმართებებს, როგორც ებრაული ფილოსოფიის სხვა მიმდინარეობებთან, ასევე, ზოგადად, ფილოსოფიასთან მთლიანად. შალომ დავიდი მეტად

საინტერესოდ განიხილავს და აანალიზებს დიდი ებრაელი მისტიკოსის მოძღვრებაში ისეთ ფუნდამენტურ თემებს, როგორებიცაა: ორი სულის, სამყაროთა იერარქიის, ტრანსცენდენტალური თანმიმდევრობის, ღვთაებრივი სამსახურის, სულის უკვდავებისა და ა.შ. საკითხები. ამ ექსპლიკაციის თანმიმდევრულ გაშლა-განვითარებაში იხსნება თავად შალომ დავიდის ფილოსოფიური ცოდნისა და აზროვნების მთელი გაქანება და მაღალი დონე.

Jewish philosophy is a subject of due attention for the Georgian philosophical thought tradition: its genesis, historical development paths and directions, great representatives and, especially, its most important ideas and concepts. This becomes even more valuable for us, i.e. for Georgian society, when it comes to a very significant, noteworthy work by a Jewish thinker born and raised in Georgia, namely, Shalom David's book – "Jewish-Kabbalist Philosophy in the Imaginations of Rabbi Shneur Zalman of Liadi". My task is to clearly present and explicate certain important aspects and moments of this work, which more or less reveal to us the general nature and intention of the author's philosophical thinking.

Shalom David's book is dedicated to the analysis and interpretation of the philosophical system of Rabbi Shneur Zalman, a prominent figure in the Hasidic movement. It is also worth noting that the author begins his book with biographical information about this 18th-century philosopher, which clearly shows his very difficult life path, filled with suffering and moral spirit. Thereby, Shalom David emphasizes the importance of the organic connection between the way of life and the way of thinking for a true philosopher.

Although the author describes his research method as more descriptive than analytical, he consistently and in-depthly elucidates the key ideas and passages of Shneur Zalman's treatise "Tanya"; as

well as their primary origins and their relationships, both with other currents of Jewish philosophy, and with philosophy in general. Shalom David very interestingly discusses and analyzes such fundamental themes in the doctrine of the great Jewish mystic as the two souls, the hierarchy of the worlds, the transcendental sequence, divine service, the immortality of the soul, etc. The consistent unfolding and development of this explication reveals the entire range and high level of Shalom David's philosophical knowledge and thinking.

შალომ დავიდი – ებრაელთა ისტორიისა და
კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი

SHALOM DAVID – A PROMINENT RESEARCHER OF JEWISH HISTORY AND CULTURE

მარიკა მშვილდაძე
Marika Mshvildadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ისტორია, კულტურა, რელიგია, ტრადიციები
Keywords: history, culture, religion, traditions

შალომ დავიდი (დავითაშვილი) საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, ებრაული ისტორიისა და კულტურის თვალსაჩინო მკვლევარია, რომლის შემოქმედებაც გამსჭვალულია უდიდესი პატრიოტული მუხტითა და ღრმა ანალიზის უნარით. მის მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია ებრაელთა ისტორია, კულტურა, ენა, ტრადიციები. ებრაელთა როლი ზოგადსაკაცობრიო კულტურაში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ევროპული ცივილიზაციის ჩათვლით, თანახის ადგილი და როლი ებრაელი ხალხის ცხოვრებაში; იგი იკვლევს ებრაელთა ისტორიის არსისა და რაობის ებრაულ გაგებას. დასკვნის სახით კი აღნიშნავს, რომ ებრაულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სინამდის; შალომ დავიდს გაანალიზებული აქვს თორაში გადმოცემული ამბები, მოსე წინასწარმეტყველის როლი ებრაელი ხალხის ცხოვრებაში, ებრაულ წინასწარმეტყველთა მოძღვრების არსი, რომლის ძირითადი თვისება რელიგიისა და მორალის განუყოფელ ერთიანობაში ვლინდება (შ.დ.).

შესწავლილი აქვს მსაჯულთა და ისრაელის გაერთიანებული სამეფოს, ორად გაყოფილი ისრაელის პერიოდები, დავით მეფის ფსალმუნები, ბაბილონის ტყვეობა (გალუთი)...

მეტად მნიშვნელოვნია შალომ დავიდის როლი ელინისტური და რომაული პერიოდების ებრაელი ხალხის ისტორიის კვლევაში, რომის წინააღმდეგ სამი აჯანყების შესწავლაში, ებრაელი ხალხის თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ანალიზში...

შალომ დავიდს კულტუროლოგიურ ჭრილში გაანალიზებული აქვს შუა საუკუნეების ევროპულ სინამდვილეში ებრაელთა ადგილი, როლი, ისტორია და კულტურა (ფილოსოფია – მაიმონიდი, კრესკასი, სპინოზა...), პოეზია... კაბალას (ებრაული მისტიკა, ებრაელების დიდი ნაწილისათვის ავტორიტეტული სწავლება) არსი; განმანათლებლობის ეპოქის ევროპულ კულტურაში ებრაელთა როლი, რაბი ისრაელ ბაალ შემ ტოვის (ბეშტი) მიერ დაარსებული ხასიდიზმის მოძრაობა იუდაიზმში,

მისი არსი და როლი ებრაელთა ცხოვრებაში. რაბი შნეურ ზან-მარ ლიადერის მიერ შექმნილი ხაბადის მოძღვრება... ებრაელობა ახალ ეპოქაში.

შალომ დავიდის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ებრაული სახელმწიფოს აღდგენის ანალიზს (1948 წლის 15 მაისი) და იუდაიზმის როლს ახალაღდგენილ სახელმწიფოში.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შალომ დავიდის მოღვაწეობა შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა ებრაელი ხალხის კულტურაში.

Shalom David (Davitashvili) was a public figure, writer, publicist, translator, and politician, and a prominent researcher of Jewish history and culture. His work is deeply imbued with great patriotic fervor and a capacity for profound analysis. He thoroughly studied and analyzed the history, culture, language, and traditions of the Jewish people, as well as their role in universal human culture from ancient times through European civilization.

He examined the place and role of the Tanakh in the life of the Jewish people and explored the Jewish understanding of the essence and identity of their own history. In his conclusions, he notes that in Jewish literature a special place is given to holiness. Shalom David analyzed the stories conveyed in the Torah, including the role of the prophet Moses in the life of the Jewish people and the essence of the teachings of the Jewish prophets, whose key characteristic lies in the inseparable unity of religion and morality (Sh.D.).

He studied the periods of the Judges, the united monarchy of Israel, the divided kingdom, the Psalms of King David, and the Babylonian exile (Galut)...

Shalom David's role in researching the history of the Jewish people during the Hellenistic and Roman periods is of particular

significance. He studied the three Jewish uprisings against Rome and analyzed the struggle to preserve the unique culture of the Jewish people.

From the perspective of cultural studies, Shalom David examined the place, role, history, and culture of Jews in medieval European reality - covering philosophy (Maimonides, Crescas, Spinoza...), poetry... The essence of Kabbalah (Jewish mysticism, a revered teaching for a large part of the Jewish people). He also analyzed the role of Jews in European culture during the Enlightenment.

Shalom David explored the Hasidic movement founded by Rabbi Israel Baal Shem Tov (the Besht), its essence and role in Jewish life, as well as the Chabad doctrine created by Rabbi Schneur Zalman of Liadi... and the condition of Judaism in the modern era.

A significant part of Shalom David's work is devoted to the analysis of the restoration of the Jewish state (May 15, 1948) and the role of Judaism in the newly re-established state.

In conclusion, we can note that Shalom David's work can be regarded as the most significant event in the cultural history of the Jewish people.

ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური
ლიტერატურა – შალომ დავიდის „ჰაფტაროთ“

**GEORGIAN-LANGUAGE RELIGIOUS LITERATURE
PUBLISHED IN ISRAEL - SHALOM DAVID'S "HAFTAROTH"**

ლალი გულედანი

Lali Guledani

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ilia State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ისრაელის ცენტრი

Israel Center

საკვანძო სიტყვები: რელიგიური, ქართულენოვანი,

საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები, „ჰაფტაროთ“

Keywords: religious, Georgian-language, prophetic passages, "Haftarot"

ქართველი ებრაელების ისტორიულ სამშობლოში მასობრივი რეპატრაციის შემდეგ (მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან) ისრაელში გამოიცა თემატურად და იდეურად მრავალფეროვანი ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელთა შორის რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებს სრულიად განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება.

ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ხასიათის ნაწარმოებების მიხედვით გამორჩეულია მწერლის, ებრაული ფილოსოფიის მკვლევრისა და მთარგმნელის, შალომ დავიდის ღვაწლი, რომელმაც გამოაქვეყნა შრომები ებრაულ კაბალისტურ ფილოსოფიაზე, ასევე, კანონიკური ღოცვების, ბიბლიის წიგნებისა და კრებულ „ჰაფტაროთის“ თარგმანები ებრაულიდან ქართულად.

ტერმინი „ჰაფტარა“ სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „სანაცვლო; მოვალეობისგან განთავისუფლება“, თუმცა ტრადიციით განმტკიცდა მისი „დაბოლოების, დასრულების“ მნიშვნელობა, იმის გამო, რომ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრდა შემდეგი წესი: შაბათ დილით და დღესასწაულებზე, ასევე, მარხვის დროს სინაგოგებში თორის ყოველკვირეული თავის დასრულებისას აუცილებლად უნდა წაეკითხათ თანდართული საწინასწარმეტყველო მონაკვეთი – „ჰაფტარა“, რის შემდეგაც სინაგოგებში ებრაული ლიტურგიკული კვირის მსახურება დასრულებულად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თორას ხუთივე წიგნის წასაკითხავად დადგენილი თანმიმდევრობა ერთი წლის ვადაში სრულდება, იგივე არ ხდება წინასწარმეტყველთა წიგნებთან დაკავშირებით, სადაც არ არსებობს დადგენილი კითხვის ციკლი მათი თანმიმდევრობის მიხედვით. საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები ხუთწიგნეულის საკვირაო თემების მიხედვით იკითხება: თითოეული თემისთვის ბრძენები ირჩევენ „ჰაფტარას“, რომელიც, როგორც წესი, წაკითხულ თორას თემასთან ან მის წაკითხვასთან მიმართებით რაიმე მოვლენასთან არის დაკავშირებული. წინასწარმეტყველთა წიგნიდან „ჰაფტარას“ სახელით წასაკითხი

ნაწილის არჩევა ებრაულ თემებში განსხვავებულია და მოიცავს „ჰაფტარას“ ნაწილებს სხვადასხვა თემისა და განშტოებების მიერ (სეფარდული, აშქენაზური, მიზრახული) მიღებული ჩვეულებების გათვალისწინებით და აგებულია ტექსტების კითხვის განსხვავებული წესების მიხედვით.

შალომ დავითის მიერ ნათარგმნი და შედგენილი „ჰაფტაროთის“ კრებული მრავალმხრივი თემატიკისა და დანიშნულებისაა, რომელთა ურთიერთმიმართება მოხსენებაში თანმიმდევრულად იქნება განხილული. თორა, გარდა რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების წესებისა, ღმერთისა და მისი ნების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, რაც წინასწარმეტყველური ლიტერატურის საფუძველია. წინასწარმეტყველური მოძღვრება, თავის მხრივ, რწმენის, ღვთაებრიობისა და ადამიანური არსის ახლებური გააზრების შესაძლებლობაა, ამიტომ ყოველკვირეულ თორას ნაწილსა და მის თანმხლებ „ჰაფტარას“ შორის კავშირის შესწავლით ნათელი ხდება მათი დანყვილების მიზეზშედეგობრივი საფუძველი. „ჰაფტაროთის“ წაკითხვას თავისი დადგენილი წესები აქვს. ამ საკითხთან დაკავშირებით შალომ დავიდი აღნიშნავს, „წინასწარმეტყველთა წიგნიდან ნაწყვეტის წაკითხვას მოსდევს ოთხი კურთხევა. ეს კურთხევანი აგებულია ებრაული ლოცვის არსის შესაბამისად: განდიდება – თხოვნა – სამადლობელი. პირველი კურთხევა მადლობით მოსავს უზენაესს, რამეთუ მის მიერ ნაბოძები სიტყვა ხორციელდება წინასწარმეტყველთაგან; მეორე და მესამე კურთხევა – ეს თხოვნაა გარდახვეწილთა შემოკრებაზე, დავითის ტახტის აღდგენაზე; მეოთხე კურთხევა სამადლობელია, რომელიც ეძღვნება შაბათისა და დღესასწაულთა ბოძებას“.

მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული „ჰაფტაროთის“ ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული საკითხები, რის შედეგადაც ვლინდება ქართველი ებრაელების პრაქტიკული რელიგიური ცხოვრებისთვის ამ კრებულის დიდი მნიშვნელობა.

After the mass repatriation of Georgian Jews to their historical homeland (since the 1970s), a thematically and ideologically diverse Georgian-language literature was published in Israel, among which religious works were given a very special loading and significance.

Among the Georgian-language productions published in Israel, the contribution of the writer, Jewish philosophy researcher, and translator Shalom David is distinguished in the religious direction. He published research on Jewish-Kabbalist philosophy, translations of canonical prayers, books of the Bible, and the collection “Haftaroth” from Hebrew into Georgian. In the report, we will discuss in detail the issues related to the Georgian version of “Haftaroth”.

The term “haftara” literally translates to “replacement, release from duty”. However, tradition has strengthened its meaning of “end, completion”, due to the following tradition that was established over the centuries: on Saturday mornings and holidays, as well as during fasting, at the end of the weekly Torah chapter in synagogues, the accompanying prophetic passage - “haftara” - was necessarily read, after which the Jewish liturgical weekly service in synagogues was considered complete. Although the established sequence for reading all five books of the Torah must be completed within a year, there is no established reading cycle for the books of the prophets according to their sequence. However, some of them are read according to the themes of the Pentateuch: for each theme, the sages chose a “haftara”, which, as a rule, was related to the theme of the Torah read in the synagogue or to some event related to its reading. The selection of the portion of the Prophets to be read as the “Haftara” varies from one Jewish community to another. This list includes the portions of the “Haftara” according to the customs adopted by different communities and branches (Sephardic, Ashkenazi, Mizrahi). It is constructed according to various rules for reading the texts.

The collection of “Haftaroth”, translated and compiled by Shalom David, is multifaceted in its subject matter and purpose, the

interrelation of which will be consistently discussed in the report. The Torah, in addition to providing rules for religious and moral life, offers an opportunity to know God and His will, which forms the basis of prophetic literature. The prophetic doctrine, in turn, is an opportunity for a new understanding of faith, divinity, and human nature; therefore, by studying the connection between the weekly Torah portion and its accompanying “Haftara”, the cause-and-effect basis of their pairing becomes clear. The reading of the “Haftaroth” is accompanied by its established rules. In this regard, Shalom David notes, “The reading of an excerpt from the book of the prophets is followed by four blessings. This blessing follows the essence of Jewish prayer: glorification, request, and thanksgiving. The first blessing is filled with thanksgiving to the Most High, for the word given by Him is fulfilled through the prophets. The second and third blessings are requests for the gathering of the exiles, for the restoration of the throne of David. The fourth blessing is a thanksgiving, dedicated to the giving of the Sabbath and holidays.”

The report will discuss in detail issues related to the Georgian version of the “Haftaroth”, revealing the great importance of this collection for the practical religious life of Georgian Jews.

**საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ
ურთიერთობათა ისტორიის ფურცლები**

**PAGES OF THE HISTORY OF THE JEWS OF GEORGIA AND
GEORGIAN-JEWISH RELATIONS**

გივი ღამბაშიძე

Givi Gambashidze

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი
David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-
Jewish Relations

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ებრაელები, ქართულ-ებრაული
ურთიერთობები

Keywords: Georgia, Jews, Georgian-Jewish relations

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა და ებრაელთა ნათესაობის, საერთო წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა ჰიპოთეზა არსებობს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ებრაელთა საქართველოში მოსვლა ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აოხრებას უკავშირდება; ძველი მსოფლიოს ისტორიის მიხედვით, ეს ძვ. წ. 586 წელს მოხდა და, აქედან გამომდინარე, ებრაელთა ამ ტალღის საქართველოში მოსვლა-დამკვიდრების ათვლაც ამ თარიღიდან უნდა დაიწყოს. ასევე, საგულისხმოა XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის ქრონიკაში – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ – ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში დიდი მცხეთის ერთ-ერთ უბნად „უბანი ურიათას“ დასახელება და იმავე პერიოდში ქართლში გავრცელებულ ექვს ენას შორის ებრაული ენის არსებობის აღნიშვნაც. ისტორიულ წერილობით წყაროებს ეხმიანება არქეოლოგების მიერ საქართველოში აღმოჩენილი ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლებიც.

საქართველოში იუდაიზმის აღმსარებელს „ებრაელი“ ჰქვია (სინონიმებია: „ურია“, „იუდეველი“, „ისრაელი“, „ყვერი“...). ქართულ-ებრაული ურთიერთობები ნათლად გამოიხატა ისეთ ტერმინებში, როგორებიცაა: „ჰურიანი ქართველნი“ – „ქართველი ებრაელი“; ისტორიულად მრავალფეროვან საქართველოში არცერთ სხვა ხალხს არ მინიჭებია მსგავსი ორმაგი ეთნონიმი. საქართველოში, ებრაელთა ქართველობასთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განირჩევიან ეთნიკურად ებრაელნი და რელიგიურად – იუდეველნი; ეთნიკურად ებრაელნი და რელიგიურად – ქრისტიანები; ეთნიკურად ქართველები და რელიგიურად – იუდეველნი. ქართველ ებრაელთა ისტორია, ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციით, საქართველოს ისტორიის შემადგენელ ნაწილადაა აღიარებული, რამეთუ ისინი ისტორიულად მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

ქართველთა და ქართველ ებრაელთა უნიკალურ ისტორიულ ურთიერთობებს განაპირობებდა ის როლიც, რომელიც

ებრაელობამ შეასრულა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში, რამაც ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში უდიდესი კვალი დატოვა. ქართულ-ებრაული ურთიერთობების ნათლად წარმოჩენას ემსახურება ქართველ ებრაელთა გვარ-სახელების დასახელებაც. გასათვალისწინებელია, რომ მათ მნიშვნელოვან ნაწილს საფუძვლად უდევს ბიბლიური საკუთარი სახელები, რელიგიურ-რიტუალური თანამდებობის სახელის შემცველი, ხელობისა თუ საქმიანობის, წინაპართა მეტსახელები, საკუთარ სახელად ქცეული ეთნონიმები და ა. შ. საინტერესოა, რომ იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციის კვალი და ე.წ. ებრაიზმები დასტურდება როგორც ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, ისე დღევანდელ ქართულ მეტყველებაშიც, რაც მიუთითებს ტრადიციის – ისტორიული და თანამედროვე გავლენების არსებობაზე.

ქართველთა და ქართველ ებრაელთა ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა შუა საუკუნეების საქართველოში ქართველ-ებრაელთა სოციალურ-უფლებრივ-ეკონომიკურმა ასპექტებმა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ფეოდალური ხანის საქართველოს ებრაელთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავდებოდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში განსახლებული ებრაელობისგან. მაშინ, როცა ფეოდალური საქართველოს სამართალი არ განასხვავებდა ებრაელობას ქართველობისგან, ქართველი ქრისტიანი და ქართველი ებრაელი უფლებრივად თანასწორნი იყვნენ. ამასთან, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამდე ებრაელთა შევიწროების ამსახველი არანაირი საბუთი არ იძებნება. რუსეთის მმართველობა, ანტისემიტიზმის გაღვივებით, მოგვიანებით შეეცადა, ქართულ-ებრაული ტრადიციული ურთიერთობები მოეშალა, თუმცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ გააადვილა ისრაელში „ასულთა“ თუ აქ დარჩენილთა სამეცნიერო-კულტურული კონტაქტები.

საქართველოს ებრაელობას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-სამეცნიერო და ა. შ. ცხოვრებაში. ამ ფონზე ქართველმა ებრაელობამ ღირსეულად შემოინახა ებრაული სახე, რელიგია და კუთვნილი ტრადიციები. საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში გაიზარდა როგორც ინტერესი, ისე ხელშეწყობა ებრაელთა ისტორიის, ენისა და კულტურის კვლევისათუ შესწავლის სფეროსადმი.

„საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N163 5.4. 2018)“, „ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი.

Various hypotheses exist in academic literature regarding the kinship and common origins of Georgians and Jews. According to Georgian historical tradition, the arrival of Jews in Georgia is associated with the destruction of Jerusalem by the Babylonian king Nebuchadnezzar II. According to ancient world history, this event took place in 586 BCE, and, accordingly, the settlement of Jews in Georgia following this wave should be counted from that date. It is also noteworthy that in the 11th-century chronicle *“The Life of the Kings of the Georgians”* by Georgian historian Leonti Mroveli, during the era of Alexander the Great, one district of Mtskheta was referred to as the *“quarter of the Urians”* (interpreted as Jews), and among the six languages spoken in Kartli at the time, Hebrew was also mentioned. Historical written sources are supported by archaeological findings of Jewish material culture on Georgian territory.

In Georgia, adherents of Judaism are referred to as *“Ebraeli”* (synonyms include: *“Uria,” “Yudeveli,” “Israeli,” “Keveri,”* etc.). Georgian-Jewish relations are clearly expressed in such terms as *“Huri-ani Kartvelni”* – meaning *“Georgian Jew.”* Historically, in multiethnic

Georgia, no other people were given such a dual ethnonym. Due to centuries of cohabitation between Jews and Georgians, distinctions emerged between: ethnically Jewish and religiously Jewish individuals; ethnically Jewish and religiously Christian individuals; ethnically Georgian and religiously Jewish individuals.

According to Georgian historiographical tradition, the history of Georgian Jews is recognized as an integral part of Georgian history, since historically they have been closely connected. The unique historical relationship between Georgians and Georgian Jews was also shaped by the role Judaism played in the spread of Christianity in Georgia – an influence that left a significant mark on the historical memory of the Georgian people. This relationship is further reflected in the surnames of Georgian Jews. Many of these surnames are based on biblical personal names, religious or ritual titles, professions or trades, nicknames of ancestors, ethnonyms that became personal names and so on. Interestingly, traces of the Judeo-Christian tradition and so-called Hebraisms can be found both in ancient Georgian literary monuments and in modern Georgian speech, pointing to the presence of enduring tradition and historical and contemporary influences.

A special role in the development of harmonious relations between Georgians and Georgian Jews was played by the socio-legal and economic conditions of Georgian Jews in medieval Georgia. As noted in academic literature, the economic, social, and legal status of Jews in feudal Georgia differed significantly from that of Jewish communities in other countries. While in feudal Georgia, the law made no distinction between Jews and Georgians, Georgian Christians and Georgian Jews were legally equal. Moreover, no documents exist showing persecution of Jews in Georgia before its annexation by the Russian Empire. It was only during Russian rule, through the spread of antisemitism, that an attempt was made to disrupt traditional Georgian-Jewish relations. However, the restoration of Georgia's state independence facilitated scientific and cultural connec-

tions between those who had emigrated to Israel and those who remained in Georgia.

Georgian Jewry has made significant contributions to the political, economic, cultural, and scientific life of Georgia. Against this background, Georgian Jews have preserved their Jewish identity, religion, and traditions with dignity. Notably, in recent years, interest in and support for the study and research of Jewish history, language and culture in Georgia has increased.

“By the Resolution of the Government of Georgia (N163 5.4.2018)”
- “The 26-century tradition of unique Georgian-Jewish relations”
was granted the status of a national monument of intangible cultural heritage.

„თვალთაჲს“ ბივრილი და წმიდა ნინო

“TVALTAI” BERYL AND SAINT NINO

გიორგი ალიბეგაშვილი

Giorgi Alibegashvili

წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი
Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of
Georgia

საკვანძო სიტყვები: „თვალთაჲს“, ბივრილი, წმიდა ნინო

Keywords: “Tvaltai”, Beryl, Saint Nino

წმიდა ნინო სინთეზური სახეა, ნიმუშია ქართული წარმართული და ბიბლიური პარადიგმების ქრისტიანულად მოდიფიცირებისა; საქართველოსთვის იგი არის „ახალი“, ამ სიტყვის ქრონოტოპული გაგებით, და „ტყვე“ – მისი ბიბლიური შინაარსით (ქრონოტოპული კონტენტი); ამავე დროს, წმ. ნინო მოიხსენიება „დედოფლადაც“, რადგან „ტყვეთა მხსნელია“.

IV საუკუნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, წმ. ეპიფანე კვიპრელის, ეგზეგეტიკურ ნაშრომში „თვალთაჲ“ პირველმღვდელმთავარ აარონის ეფოდის იაკობის 12 შტოს შემამკობელ 12 პათიოსან თვალთა რიგში ბივრილს მე-11 ადგილი უკავია და იაკობის მე-11 ძეს – იოსებს გამოსახავს „შეურენელად და განუყოფლად“. ქართული წარმართული ღმერთის, არმაზის, კერპის შემუსვრის შემდეგ საქართველოს განმანათლებელი ნამსხვრევებიდან იღებს ორ ქვას – ბივრილს (ბივრიტს; ებრ. *šoham* განიმარტება როგორც „ონიქსი – სარდონიქსი“, ან როგორც „ბივრილი“; ბერძნ. *βήρυλλος*, ლათ. *beryllus*) და ფრცხილს (ონიქსს; ძვ. ებრ. *yhalōm* – ონიქსი//ანუქიონი; ბერძნ. *ὄνυχιον*, ლათ. *onychinus iapis*); ეს უკანასკნელი ბენიამინის შტოს უფალთან საკრალურ კავშირს გამოხატავს. საკითხის დასმის წესით ვითყოდით: საქართველოში შემოსული ებრაელები ისრაელიანების დაკარგული 10 შტოს – იოსებისა და ბენიამინის – წარმომადგენლები ხომ არ შეიძლება ყოფილიყვნენ? ვფიქრობთ, საკითხი შესწავლას საჭიროებს;

„ტყვე“ ნინოს ძველი აღთქმიდან ჰიეროპარადიგმულად უკავშირდება ისრაელის ტყვეობა (ეგვიპტის მონობაში ყოფნა) და ტყვედ გაყიდული იოსები. როგორც ტყვეობაში მყოფ ისრაელის ერს უნდა დაეღწია თავი ეგვიპტელთა უღლიდან ანუ უღმერთოებისა და ჩაგვრის გარემოდან, ასევე წარმართული გარემოცვის ტყვეობაში მყოფ წმიდა ნინოს უნდა დაეხსნა „ჩრდილოეთის ქვეყანა“ (ქართლი „ჩრდილოეთის ქვეყანაა“, სიტყვა „ჩრდილოეთის“ ნეგატიური მნიშვნელობით, რადგან ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში ეს გეოგრაფიული მხარე, „დასა-

ვლეთთან“ ერთად, „ადმოსავლეთსა“ და „სამხრეთს“ უპირისპირდება) – მოკლებული ქეშმარიტი მზის ნათელს.

აქვე დავიმოწმებთ ბიზანტინისტთა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ არაერთგზის გამოთქმულ თვალთახედვას, რომლის თანახმადაც, ქრისტიანული აზროვნებისა და აღქმის ყველაზე მეტად შემუშავებული საერთო ფორმა და საუკუნეთა განმავლობაში ხელოვნებისა და ლიტერატურის განმსაზღვრელი იდეაციონალური ხედვა არის სიმბოლო, რომელიც ერთმანეთში არ ურევს საგანსა და აზრს.

Saint Nino is a synthetic figure, a model representing the Christian modification of Georgian pagan and biblical paradigms. For Georgia, she is “New” in the chronotopic sense of the word and “Captive” in its biblical meaning and chronotopic content. At the same time, Saint Nino is also referred to as “Queen”, because she is the “Savior of Captives”.

In the exegetical work “*Tvaltai*” by the 4th-century Byzantine theologian St. Epiphanius of Cyprus, the gem of the high priest Aaron is ranked 11th among the twelve precious gems adorning the twelve branches of Jacob, depicting Joseph, the 11th son of Jacob, as “inseparable and indivisible.” After crushing the idol of the Georgian pagan god Armazi, the Georgian enlightener takes two stones from the fragments – beryl (*bivrit*; Hebrew *šoham*, interpreted as “onyx-sardonyx” or “bivril”; Greek *βήρυλλος*, Latin *beryllus*) and onyx (*onyx*; Old Hebrew *yhalōm* – onyx/anuchion; Greek *όνύχιον*, Latin *onychinus iapis*). The latter symbolizes the sacred connection of the tribe of Benjamin with the Lord. In posing the question, one might ask: could the Jews who entered Georgia be representatives of the lost ten tribes of Israel – Joseph and Benjamin? We believe, this issue deserves further study.

The “captive” Nino from the Old Testament is hieroparadigmatically connected with the captivity of Israel – being enslaved in Egypt – and with Joseph, who was sold into slavery. Just as the captive nation of Israel had to free itself from the yoke of the Egyptians – that is, from an environment of godlessness and oppression – so Saint Nino, who was held captive by a pagan environment, had to save the “Northern Land” (Kartli is called the “Northern Land” with a negative connotation, since in Christian exegesis this geographical area, along with the “West,” is opposed to the “East” and the “South”) – the land that was deprived of the light of the true sun.

Here, we will also examine the view repeatedly expressed by Byzantine scholars and researchers of ancient Georgian literature, according to which the most developed common form of Christian thought and perception – and the ideational vision that has defined art and literature for centuries – is the symbol, which does not confuse object and thought.

„ქებაჲ ქებათაჲს“ ბაქარისეული ბიბლიის რედაქციის
(1743) თარგმანის კულტურულ-კოგნიტური ასპექტები

CULTURAL-COGNITIVE ASPECTS OF THE TRANSLATION OF THE “SONG OF SONGS” OF THE BAKARI BIBLE EDITION (1743)

ლიანა (ლია) ბაშელეიშვილი
Liana (Lia) Basheleishvili

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: ბაქარის ბიბლია, „ქებაჲ ქებათაჲ“, სლავური
ბიბლია, ოშკის ბიბლია, მცხეთური ბიბლია, რედაქცია A

Keywords: Bakari Bible, “Song of Songs”, Slavic Bible, Oshki Bible, Mtskheta
Bible, Edition A

ძველი აღთქმის ურთულესი ტექსტის, „ქებაჲ ქებათაჲს“, ქართული თარგმანების კულტურულ-კოგნიტური ასპექტების განხილვა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან „მაღალი“ ტექსტებისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის დამალვა და გაბუნდოვანება. მეფე სოლომონის ამ წიგნის ბაქარისეული რედაქციის გასაანალიზებელი ტექსტი შედარებულია სლავური რედაქციის „ქება ქებათაჲს“ ტექსტთან, რომელიც რუსეთში იყო გაბატონებული 1751 წლამდე, ანუ ე.წ. ელიზავეტას ბიბლიის“ გავრცელებამდე. შრომაში გაანალიზებულია, თუ რამდენად მისდევს „ქება ქებათაჲ“ სლავურ თარგმანს და რა განსხვავებას ავლენს იგი არა მხოლოდ სლავურ ტექსტთან მიმართებით, არამედ დანარჩენ ქართულ რედაქციებსა და სეპტუაგინტის აკადემიურ ტექსტთან. ბიბლიის ტექსტებიდან გამოყენებულია:

რედაქცია B – 1743 წლის მოსკოვური ბიბლიის ტექსტი;

Церковнославянская Библия с параллельными транскрипцией и переводом;

რედაქცია S – მცხეთური ბიბლია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის გამოუცემელი ხელნაწერის მიხედვით;

რედაქცია A – მეჩვიდმეტე საუკუნის გამოუცემელი ხელნაწერი;

რედაქცია O – 978 წლის ოშკის ანუ ათონის ბიბლია;

„ქებაჲ ქებათაჲს“ – ზურაბ სარჯველაძის რედაქციით.

მოხსენებაში წარმოდგენილია: 1. ქართული სათაურის („ქებაჲ ქებათაჲს“) კონტექსტისა და მეგატექსტის ვექტორები; 2. რემარკების დრამატურგიის საკითხი ბიბლიოლოგიასა და, კერძოდ, ქართულ თარგმანებში; 3. სლავური რედაქციისა და ბაქარის ბიბლიის განსახილველი ტექსტის ურთიერთმიმართების საკითხები.

The discussion of the cultural-cognitive aspects of the Georgian translations of the most difficult text of the Old Testament, the “Song of Songs”, is associated with many difficulties. Because high texts are characterized by hiding and obscuring themselves. The analyzed text of the Bakari edition of this book of King Solomon is compared with the text of the Slavic edition of the “Song of Songs” which was prevalent in Russia until 1751, that is, before the spread of the so-called “Elizaveta Bible.” The work analyzes the extent to which the “Song of Songs” follows the Slavic translation and what differences it reveals not only in relation to the Slavic text, but also to the other Georgian editions and the academic text of the Septuagint. The following Bible texts were used:

Edition B – Text of the Moscow Bible of 1743.

Church Slavonic Bible with parallel transcription and translation.

Edition S – Mkhethian Bible according to an unpublished manuscript of the seventeenth-eighteenth century;

Edition A – unpublished manuscript of the seventeenth century;

Edition O – Bible of Oshki or Athos of 978;

“Song of Songs” edited by Zurab Sarjveladze.

The report presents 1. The context and megatext vectors of the Georgian title (“Song of Songs”). 2. The issue of the dramaturgy of remarks in bibliography and in particular in Georgian translations. 3. Issues of the relationship between the Slavic edition and the text under discussion of the Bakari Bible.

ივრითის ისტორიული ტრანფორმაცია და ებრაული
ენის აკადემია

**HISTORICAL TRANSFORMATION OF HEBREW AND THE
ACADEMY OF THE HEBREW LANGUAGE**

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ენის ისტორიული სპეციფიკა, ებრაული ენის
აკადემია

Keywords: the historical specificity of the Hebrew language, The Academy
of the Hebrew Language

ებრაულმა ენამ, რომელიც მე-18 საუკუნემდე მხოლოდ „ნიგ-ნის ენა“ იყო, განვლო განვითარების მტკივნეული და რთული პროცესები, სანამ იქცეოდა ისრაელის სახელმწიფო ენად.

ებრაული ენის აკადემიის ისტორია პირდაპირ დაკავშირებულია ივრითის აღორძინებასთან და ებრაულის, როგორც თანამედროვე სასაუბრო ენის, ფორმირებასთან.

ებრაული ენის აკადემია, რომლის დამსახურებაცაა ივრითის რევიტალიზაცია, განახლება და სტანდარტიზაცია, დღემდე ეწევა მრავალმხრივ მოღვაწეობას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-ადაპტაციის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელის სახელმწიფოსთვის, სადაც რეალურად მიმდინარეობს ტექნოლოგიური რევოლუცია, რაც თავისთავად გულისხმობს ახალი ტერმინოლოგიის, ცნებების დამკვიდრებასა და გავრცელებას.

Modern Hebrew has developed in a multilingual environment.

The Academy of the Hebrew Language, established by a 1953 act of Knesset, is the premier institution for the study and cultivation of the Hebrew language.

Hebrew on the basis of research spanning all periods and branches of the language. In keeping with this mandate, the Academy:

- adjudicates issues of Hebrew grammar, orthography, punctuation, and transliteration;
- decides official Hebrew terminology, coining new words as needed;
- works to increase public affection and regard for Hebrew and knowledge of the language;
- progresses toward the goal of writing a comprehensive historical dictionary of the Hebrew language;
- engages in additional linguistic research.

წიგნი „ქება ქებათა“ და მისი კომპოზიცია
THE BOOK OF THE “SONG OF SONGS” AND ITS
COMPOSITION

დალილა ბედიანიძე
Dalila Bedianidze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანო სიტყვები: სატრფო, ამბორი, შროშანი, ყვავილი, მტრედი,
მეტრფე
Keywords: beloved, kiss, lily, flower, dove, lover

ნიგნი „ქება ქებათა“, კომპოზიციური თვალსაზრისით, ერთ-ერთი საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოებია. აგებულია პარალელიზმებზე და განეკუთვნება ეპოტერიკულ ნაწარმოებთა რიცხვს. მისი მთავარი თემა – ადამიანის უზენაესთან მიმართების საკითხი – არ არის ახალი; ასევე, ახალი არ არის მისი ჟანრობრივი თავისებურებანი და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები. იგი პასტორალური ჟანრის ნაწარმოებია, ხოლო ამ ჟანრის ეპოტერიკული ნაწარმოებები ჩვენთვის ცნობილია ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლური თუ ანტიკური ლიტერატურიდან.

„ქებათა ქების“ კომპოზიცია შედგება განმარტებითი ხასიათის მოკლე ექსპოზიციისგან, თავისუფალი ნაწილისა და ფინალისგან – ნაწარმოებში დომინირებს სიყვარულის თემა, რომელიც შედგება ორი ძირითადი თემისგან – ქალისა და ვაჟის თემა. ქალის თემა ხასიათდება პასტორალური სახეებით და ასოციაციებით, ხოლო ვაჟის თემა – ურბანისტული, ცივილიზებული სამყაროს სიმბოლოებით. პასტორალური საწყისის სიმბოლოა მწყემსი ქალი სულამითი, რომელზეც ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელი ვაჟია შეყვარებული.

სასიძოს – ვაჟის – თემას ახასიათებს ურბანისტული სახეები, ოქრო-ვერცხლისა და ფუფუნების საგნების ხშირი მოხსენიება, ასევე – ნელსაცხებელთა და საკმეველთა ხელოვნური სურნელის გაიდება.

ნაწარმოები აგებულია ქალ-ვაჟის თემის ვარიაციულ მონაცვლეობაზე, რაც მას დიალოგურ ფორმას აძლევს. ინტერმედიების ფუნქციას ასრულებს იერუსალიმელ ასულთა გუნდის სიტყვები. ეს გუნდი რიტორიკულ შეკითხვათა საშუალებით წარმართავს თხრობას.

From the perspective of composition, the *Book of the “Song of Songs”* stands out as one of the most interesting and original works. Constructed upon parallelisms, it belongs to the category of esoter-

ic writings. Its principal theme – the question of the human being's relationship with the Supreme – is not a new subject. Likewise, neither its generic features nor its artistic-expressive devices are novel. The work belongs to the pastoral genre, and esoteric works within this genre have been known to us since the ancient Eastern and classical literary traditions.

The composition of the *Book of the "Song of Songs"* consists of a brief, explanatory exposition, a freely developed main section, and a finale. The dominant motif throughout is love, which unfolds in two main thematic lines: the theme of the woman and the theme of the man. The woman's theme is characterized by pastoral imagery and associations, while the man's theme is marked by symbols of the urbanized, civilized world. The symbolic embodiment of the pastoral origin is the shepherdess Shulammit, beloved by a man who represents the world of civilization.

The bridegroom's – or man's – theme is distinguished by urban imagery, frequent references to gold, silver, and objects of luxury, as well as the idealization of the artificial fragrances of perfumes and incense.

The structure of the work is based on the alternating variation of the woman's and man's themes, which imparts to it a dialogic form. Serving as interludes are the words of the chorus of the daughters of Jerusalem, whose rhetorical questions direct the course of the narrative.

აბელის სახისმეტყველება ძველსა და ახალ აღთქმაში
ABEL'S METAPHOR IN THE OLD AND NEW TESTAMENTS

მამუკა ბუცხრიკიძე
Mamuka Butskhrikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აბელი, სახისმეტყველება, ძველი აღთქმა, ახალი
აღთქმა

Keywords: Abel, metaphor, Old Testament, New Testament

აბელის („ჰეველ“ დედანში) სემანტიკა გამოირჩევა სიღრმითა და კონტრაპუნქტობით. გავრცელებული მნიშვნელობით აბელი (ჰეველ) ნიშნავს ამაოებას. თითქოს ეს ლოგიკურია, მისი ტრაგიკული ბედიდან გამომდინარე. მას, ღვთის რჩეულს, მშრომელსა და ხელმომართულს, ალბათ, ბიბლიური იობივით დამსახურებული კეთილდღეობა ელოდა – იქნებოდა მრავალრიცხოვანი ოჯახის სვებედნიერი მამა, თუმცა ამ კურთხეულ პერსპექტივას ძირშივე აღკვეთს უფროსი ძმის შური და ბოროტება. კაენი კლავს აბელს. მართალი და უდანაშაულო სისხლი დაიღვრება და აბელი უშვილძიროდ გადაეგება. ანდრე ნეერის გენიალური მიგნებით, აბელის სახელი – სიტყვა კონცეპტივი გვეცხადება ეკლესიასტეს წიგნში ფუნდამენტური პოსტულატით – „ყოველივე ამაოა“ (ჰაქოლ ჰეველ). თუმცა ნეერს არ აკმაყოფილებს ჰეველის ამგვარი განმარტება. ამაოებას, ამოო საქმეს კაცმა შეიძლება თავი აარიდოს, მაგრამ ფორმულა „ჰაქოლ ჰეველ“ აბსოლუტური კატეგორიულობითაა ნათქვამი. ჰეველ – გარდაუვალი ბედისწერაა. მას ვერავინ და ვერაფერი დააღწევს თავს. ამიტომ ნეერი უპირატესობას ანიჭებს ჰეველის სხვა მნიშვნელობას – „ორთქლი, ამონასუნთქი ჰაერი“. ეს მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს, ონტოლოგიურად გავიაზროთ ტერმინი „ჰეველ“. ყველაფერი არის ჰეველ – ის, რაც ორთქლივით ქრება. მაგრამ პოსტულატი „ჰაქოლ ნიშმა“ (ყოველივე შეისმინება) ამთლიანებს თეზასა და ანტითეზას. ჰეველ არის აბსოლუტურად წარმავალი, და, იმავდროულად, აბსოლუტურად მარადიული.

„აბრაამის ანდერძში“ ესქატოლოგიური ძე კაცისა გაიგივებულია აბელთან, ადამის ვაჟთან. ამდენად, წოდება „ძე ადამისა“ („ბენ ადამ“ ებრ.), იმავდროულად, არის ბიბლიური ესქატოლოგიური სურათ-ხატი, ანუ იგივე სახარებისეული ძე კაცისა. მოკლედ, ბენ-ადამ მარტივი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არის ადამის ძე, ე.ი. აბელი, კაენის მიერ მოკლული. ღმერთი დაადგენს აბელს ესქატოლოგიურ მსაჯულად, რადგან სურდა, რომ კაცი სწორედ კაცს, მოყვასს განესაჯა.

The semantics of Abel (“Hevel” in the original) are distinguished by their depth and counterpoint. In the common meaning, Abel (Hevel) means vanity. This seems logical, given his tragic fate. He, God’s chosen one, a worker and a servant, was probably destined for well-deserved prosperity like the biblical job, he would be the happy father of a large family, but this blessed prospect is thwarted by the envy and malice of his older brother. Cain kills Abel. Righteous and innocent blood is shed, and Abel is left childless. According to the ingenious insight of Andre Neher, the name of Abel – the word conceptual – is revealed to us in The Book of Ecclesiastes with the fundamental postulate “All is vanity” (Hakol Hevel). However, Neer is not satisfied with this definition of Hevel. A person can avoid vanity, a vain deed, but the formula “Hakol Hevel” is stated with absolute categoricity. Hevel is an inevitable fate. No one and nothing can escape it. Therefore, Neer prefers another meaning of Hevel – “vapor, exhaled air”. This meaning allows us to ontologically understand the term “Hevel”. Everything is Hevel – that which disappears like vapor. But the postulate “Hakol Nishma” (everything is heard) completes the thesis and antithesis. Hevel is absolutely transient and, at the same time, absolutely eternal.

In the “Testament of Abraham” the eschatological Son of Man is identified with Abel, the son of Adam. The title “Son of Adam” (“Ben Adam” in Hebrew) is at the same time a biblical eschatological image, that is the same as The Gospel Son of Man. In short, Ben Adam in its simple, literal meaning is the Son of Adam, i.e., Abel, murdered by Cain. God will establish Abel as the eschatological judge, because he wanted man to punish man, his fellow.

როგორ იქცევა ტრაგიკული კომიკურად...
ტრაგიკომიზმის ფუნქცია ოსამა ალ-ისას რომანში
„ბეთლემის ბიჭები“

**How Tragic Turns into Comic: The Function of
Tragicomicism in Osama al-Issa's Novel *THE MADMEN OF
BETHLEHEM***

დარეჯან გარდავაძე
Darejan Gardavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტრაგიკომიზმის ელემენტები თანამედროვე
პალესტინურ ლიტერატურაში

Keywords: tragicomic elements in contemporary Palestinian literature

ტრაგიკომიზმის ელემენტები თანამედროვე არაბულ და, განსაკუთრებით, პალესტინურ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალფეროვანია და ხშირად იჩენს თავს ავტორების მიერ სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული კონფლიქტების გადმოცემისას; ისეთ თემებზე წერისას, როგორებიცაა: ომი და ოკუპაცია; იდენტობის კრიზისი; რელიგიური და კულტურული წინააღმდეგობები; ბიუროკრატია და პოლიტიკური აბსურდი; ქალის სტატუსი პატრიარქალურ საზოგადოებაში.

ტრაგიკომიკური ხერხი ავტორებს ეხმარება მკაცრი რეალობის შერბილებაში, კრიტიკის შეფარვასა და ემოციური დისონანსით რეალური ადამიანური სიტუაციების სიღრმისეულად გადმოცემაში.

ოსამა ალ-ისას რომანი „ბეთლემის გიჟები“ ფსიქოლოგიურად დატვირთული, ალეგორიებით გაჯერებული ტექსტია, რომელიც თანამედროვე პალესტინური რეალობის ტრაგიზმს აირეკლავს ფსიქიატრიული კლინიკის სივრციდან. ავტორი კლინიკას იყენებს მეტაფორად: კლინიკის გარეთ არსებული საზოგადოება ხშირად უფრო შეშლილი და არალოგიკურია, ვიდრე ის ადამიანები, ვინც შიგნით იმყოფებიან.

რომანი მოგვითხრობს ფსიქიატრიულ კლინიკაში მცხოვრები ადამიანების ისტორიებს, რომელთა ცხოვრება პალესტინაში არსებულ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებასთანაა გადაჯაჭვული. კლინიკა ბეთლემში მდებარეობს – ბიბლიურ ქალაქში, რომელიც დღევანდელ რეალობაში ტრაგედიის, ომისა და დაპირისპირების კერად ქცეულა.

ოსამა ალ-ისა ხშირად მიმართავს სტილისტურ ხერხს – ქმნის ტრაგიკული და კომიკური ელემენტების სინთეზს, აერთიანებს სევდასა და იუმორს, რაც ხშირად ადამიანის ყოფის აბსურდულობასა და წინააღმდეგობრიობას უსვამს ხაზს და სწორედ ეს შერეული ემოცია ახდენს ღრმა ფსიქოლოგიურ გავლენას მკითხველზე. ტრაგიკომიკური ეფექტი ოსამა ალ-ისას მიერ რომანში გადმოცემულ ისტორიებში ხშირად იქმნება:

- აბსურდის ელემენტების შემოტანით – ზოგჯერ აღწერილი ტრაგიკული სიტუაცია იმდენად ზღვარგადასუ-

ლია, რომ მძიმე თემების შესარბილებლად ავტორი იყენებს იუმორს, რაც ინვევს ირონიულ სიცილს და ტრაგიკულ ვითარებასაც კი კომიკურ ელფერს აძლევს;

- კონტექსტის ცვლილებით – ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება აღიქმებოდეს ტრაგიკულადაც და კომიკურადაც;
- კრიტიკული პათოსით – ირონია შეიძლება სოციალური ან პოლიტიკური კრიტიკის საშუალებად იქცეს.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება რომანის ის კონკრეტული ისტორიები, სადაც თხრობაში ტრაგიკომიზმის ელემენტებია გამოყენებული.

Tragicomic elements in contemporary Arab – and particularly Palestinian – literature are notably diverse. They often emerge in narratives that depict social, political, or cultural conflict, as well as in works that address themes such as war and occupation, identity crises, religious and cultural contradictions, bureaucratic absurdities, and the status of women in patriarchal societies.

The tragicomic mode serves as a powerful literary strategy that enables authors to soften the harshness of reality, obscure direct criticism, and convey the emotional complexity of the human condition through deliberate tonal dissonance. This approach allows writers to explore serious and often painful subjects while simultaneously employing irony, satire, or dark humor.

Osama al-Issa's *The Madmen of Bethlehem* is a psychologically charged, allegorical novel that reflects the tragedy of contemporary Palestinian life through the microcosm of a psychiatric clinic. The clinic functions as a metaphorical space, suggesting that the world outside its walls may be even more irrational and chaotic than the world within. The author draws a deliberate parallel between the internal experiences of the clinic's patients and the broader socio-political disorder of Palestinian society.

Set in Bethlehem – a city of profound religious significance that, in modern times, has become a symbol of violence and conflict – the novel chronicles the lives of individuals confined within the institution. Their personal narratives are deeply intertwined with the turbulent political landscape outside, blurring the boundaries between sanity and madness, reality and absurdity.

Al-Issa frequently employs a stylistic device that merges tragic and comic elements, creating a synthesis that highlights the contradictions and absurdities of human existence. This fusion evokes a complex emotional response in the reader and intensifies the psychological resonance of the text.

The tragicomic effect in the novel is achieved through several narrative techniques:

- **The use of absurdity:** The extremity of certain tragic circumstances is tempered by the introduction of humorous elements, generating ironic laughter and imbuing even the darkest situations with a comic undertone.
- **Contextual reframing:** Events are often depicted in ways that allow for both tragic and comic interpretations, depending on the perspective from which they are viewed.
- **Critical irony:** Humor becomes a vehicle for political and social critique, exposing underlying injustices and contradictions within the societal framework.

The paper will examine selected episodes from the novel in which tragicomic strategies are most prominently employed, analyzing how these elements function within the narrative to reveal deeper truths about individual and collective experience under systemic instability.

ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის
სამომავლო პერსპექტივები

**FUTURE PROSPECTS FOR GEORGIAN-JEWISH CULTURAL
RELATIONS**

ელენე გეგეშიძე
Elene Gegeshidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, ჰარმონიული
თანაცხოვრება, მეგობრობა, სიყვარული
Keywords: Georgian Jews, harmonious coexistence, friendship, love

მსოფლიო კულტურის ისტორიის ნათელი მაგალითია ქართველი და ებრაელი ხალხის კულტურული თანაცხოვრების საინტერესო ისტორიები, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო და დღემდე გრძელდება. საქართველოში ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნოკულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა.

საქართველოს კულტურის ისტორიის ჟამთასვლაში უამრავი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულზე განსაკუთრებული მოვლენა 1998 წლის სექტემბერში მოხდა. თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით საქართველოში უნიკალური, უპრეცედენტო იუბილე გაიმართა — ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვან თანაცხოვრებას ზეიმობდა ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ერი. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა, რომელშიც ებრაული დიასპორაა, ვერ მოიწონებს თავს იმით, რომ საზეიმოდ აღენიშნოს ამ ქვეყანაში ებრაელთა შემოსვლის, დასახლებისა და კულტურული თანაცხოვრების თარიღი.

საუკუნეების მანძილზე ქართველთა და ებრაელთა ჰარმონიულმა თანაცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაელმა ერმა იმთავითვე გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, ქართველებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის ფორმები და ყოფითი კულტურის ელემენტები.

ჩვენი კულტურისაგან განსხვავებული კულტურის ადამიანებთან დიალოგი თანამედროვე ცნობიერების განუყოფელი ფუნქციაა. საქართველოს შეუძლია თამამად უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი,

დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია, რომლის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია – ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. ეს ისტორიული სამშობლოსადმი მათი ლტოლვით აიხსნება და არა საქართველოში მათი რაიმე სახის დისკრიმინაციით.

ამიტომაც დღევანდელ რთულ პოლიტიკურ არეალში მართებულად მიგვაჩნია, საზოგადოებას, ჩვენს მომავალ თაობებს გავაცნოთ ქართულ-ებრაული კულტურულ-მეგობრული კონტაქტების შესახებ და ამ ურთიერთობის გაგრძელების სამომავლო პერსპექტივები. ამ ამოცანის განხორციელების მიზნები მრავალმხრივია, რაც ეფუძნება ისეთ საკითხთა ფუნდამენტურ კვლევას, როგორებიცაა:

- ებრაელთა ასიმილაცია უცხო გარემოში (ქართულ-ებრაული გვარ-სახელები);
- ზოგადი კულტურის, დამწერლობის, რელიგიის, ხელოვნების დარგების – მუსიკა, ქორეოგრაფია, თეატრი, კინო, მხატვრობა, არქიტექტურა და სხვ. – განხილვა და მათი ურთიერთკავშირი;
- კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი – ქართულ-ებრაული სუფრის ეტიკეტი;
- ორი ერის სულიერი ერთობის კავშირის დამაკავშირებელი სხვადასხვა თემატიკის სამომავლო ერთობლივი ღონისძიებები.

A vivid example of the history of world culture is the interesting stories of the cultural coexistence of the Georgian and Jewish peoples, which have endured for centuries and continue to this day. Ethnic and religious diversity in Georgia determines the wealth of our country, and it is very important to objectively present the ethno-cultural characteristics of the population of our country. Comparing the lifestyle of the Georgian people and ethnic groups living in Georgia, observing the differences and similarities of traditional cultural elements once again convinces us that the diversity in this area is our wealth.

There have been many significant events in the history of Georgian culture, but the most special of them all occurred in September 1998. A unique, unprecedented anniversary was held in Georgia in terms of its content and significance – the 26th century of coexistence of Georgians and Jews, two nations of different faiths, was celebrated. No country in the world with a Jewish diaspora can boast of solemnly commemorating the arrival, settlement, and cultural coexistence of Jews within its borders.

The harmonious coexistence of Georgians and Jews over the centuries has had a certain impact on the lives and cultures of both peoples. The Jewish nation immediately adopted a number of Georgian customs, forms of communication, and elements of everyday culture characteristic of Georgians.

Dialogue with people of cultures different from ours is an integral function of modern consciousness. Georgia can boldly tell the world that it has its own, independent history of an original culture, the foundations of which are older than the history of European civilization. And it is not defined only by Orthodox culture, because it goes beyond the factor of religion and is a bearer of universal human values - in all spheres of human existence and thought.

In the late 1960s, a struggle for aliyah (immigration to Israel) erupted throughout the Soviet Union. Georgian Jews also joined this movement. This is explained by their longing for their historical

homeland, and not by any kind of discrimination against them in Georgia.

Therefore, in today's difficult political environment, we consider it appropriate to introduce society, our future generations, to the Georgian-Jewish cultural-friendly contacts and the future prospects for the continuation of this relationship. The goals of this task are multifaceted, based on fundamental research on such issues as:

- Assimilation of Jews in a foreign environment (Georgian-Jewish surnames);
- Discussion of general culture, writing, religion, art: music, choreography, theater, cinema, painting, architecture and other fields and their interconnection;
- Georgian-Jewish table etiquette, an important element of culture;
- Future joint events on various topics connecting the spiritual unity of the two nations.

ძველბერძნულ წინდებულთა (εἰς და πρὸς)
ეკვივალენტები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ
ქართულ ვერსიებში

**EQUIVALENTS OF THE GREEK PREPOSITIONS εἰς AND
πρὸς IN THE OLD GEORGIAN VERSIONS OF THE MINOR
PROPHETS**

ნინო გიორგაძე
Nino Giorgadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი
The Center for Eastern Christian Studies

საკვანძო სიტყვები: მცირე წინასწარმეტყველები, სეპტუაგინტა,
ძველი ქართული ბიბლია, ბერძნული წინდებულები (εἰς, πρὸς),
თარგმანის ტექნიკა

Keywords: Minor Prophets, Septuagint, Old Georgian Bible, Greek
prepositions (εἰς, πρὸς), translation technique

წინდებულთა თარგმნა, ზოგადად, კომპლექსური საკითხია, განსაკუთრებით კი ისეთი ენიდან, როგორიც სეპტუაგინტას ბერძნულია, რამდენადაც ძველ ბერძნულში წინდებულთა სემანტიკის გაფართოებას ხელი შეუწყო სეპტუაგინტას ბერძნულზე ებრაული ენის გავლენამ, რომელმაც კიდევ უფრო მეტი მეტაფორულობა შესძინა კლასიკური ბერძნულის წინდებულთა სისტემას და ისედაც პოლისემიურ ბერძნულ წინდებულებს დამატებით სემიტური ენისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობების გამოხატვა დაეკისრა.

ამდენად, ქართველი მთარგმნელი უნდა შესჭიდებოდა ორი ენის წინდებულთა ჰიბრიდულ სისტემას. სწორედ ამიტომ საინტერესოა, თუ როგორ გაართვა მან თავი ამ ამოცანას.

კვლევის ამ ეტაპზე მოხსენებაში განვიხილავთ მხოლოდ *εἰς* და *πρὸς*-ის ეკვივალენტებს მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ ვერსიებში. ეს წინდებულები, ერთი შეხედვით, მარტივი სემანტიკით ხასიათდებიან, თუმცა გარკვეულ კონტექსტებში ისინი რთულ სემანტიკურ დატვირთვას ატარებენ.

მოხსენების მიზანია:

გავაანალიზოთ ისეთი კონტექსტები, სადაც *εἰς* და *πρὸς* ერთმანეთს სემანტიკურად ეკვივება, კერძოდ, დავადგინოთ, თუ რა მთარგმნელობით პრინციპს მისდევს აღნიშნულ კონტექსტებში ძველი ქართველი მთარგმნელი: ყველა შემთხვევაში წინდებულს ერთ კონკრეტულ ეკვივალენტს უსადაგებს და მისი ერთგული რჩება, თუ ითვალისწინებს კონტექსტს და ეკვივალენტს, შესაბამისად, კონტექსტის გათვალისწინებით ცვლის.

ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ისეთი შემთხვევები, როცა ეკვივალენტის შერჩევა განპირობებულია არა თარგმანის ტექნიკით, არამედ ბერძნული დედნით.

ამასთანავე, რამდენადაც განვიხილავთ მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული ვერსიების ჩვენს ხელთ არსებულ ყველა წყაროს, საკითხს დიაქრონიულ ჭრილშიც წარმოვადგენთ.

The translation of prepositions is a complex issue, particularly when the source language is the Greek of the Septuagint. The semantic scope of Greek prepositions in the Septuagint was significantly shaped by the influence of Hebrew language, which added its metaphorical meanings to an already polysemous system of the Greek prepositions inherited from Classical Greek. As a result, Greek prepositions often carry meanings that reflect both Hellenistic and Semitic linguistic features.

A Georgian translator working with such a hybrid prepositional system was thus faced with the intricate task of rendering these nuances appropriately. This makes it especially interesting to investigate how such challenges were addressed in the Old Georgian translations.

The thesis focuses on the equivalents of the Greek prepositions *εἰς* and *πρός* in the Old Georgian versions of the Minor Prophets. Though these prepositions often appear semantically straightforward, in many contexts they convey deeper or more complex meanings.

The study aims to:

1. Analyze instances where *εἰς* and *πρός* seem to overlap semantically, in order to identify the translation techniques adopted by the Old Georgian translators. Do they use a regular Georgian equivalent for each preposition consistently, or do they adapt their choices based on contextual interpretation?
2. Distinguish cases where the changes of Georgian equivalent is influenced primarily by the translation technique from those that originate from the the Greek original.

Additionally, by examining all extant textual witnesses of the Old Georgian versions of the Minor Prophets, the study adopts a diachronic perspective – tracing not only the development of translation techniques, but also the linguistic evolution of the Old Georgian language.

**უძველესი ცნობები ებრაელ ხალხზე ქართულ
სალიტერატურო წყაროებში**

**ANCIENT REFERENCES TO THE JEWISH PEOPLE IN
GEORGIAN LITERARY SOURCES**

თამარ დოლიძე

Tamar Dolidze

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
National Academy of Sciences of Georgia

საკვანძო სიტყვები: ქართულ-ებრაული ურთიერთობები,
სალიტერატურო წყაროები

Keywords: Georgian-Jewish relations, literary sources

ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში არაერთი მეტად საყურადღებო დოკუმენტური მასალაა შემონახული, რომელთა მიხედვითაც ქართველი ებრაელების საქართველოში დამკვიდრების ძირითადი მომენტები დგინდება. ებრაელები საქართველოში პირველად ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ, ძვ.წ. VI საუკუნეში, გამოჩნდნენ. ებრაელთა მეორე ნაკადი საქართველოში მოხვდა ახ.წ. I საუკუნეში (ქართლის მეფე ადერგის შვილების, ბარტომისა და ქართამის, მოღვაწეობის პერიოდში), მას შემდეგ, რაც რომის კეისარმა ვესპასიანემ იერუსალიმი დაარბია.

„მოქცევაი ქართლისაის“ გადმოცემით, ელიოზ მცხეთელი, რომელიც მცხეთის ებრაული თემის წარმომადგენელი იყო, ლონგინოზ კარსნელთან ერთად დაესწრო ჯვარცმას. ჯვარცმის შემდეგ მათ „განიყვეს სამოსელი“ იესოსი და კვართი წილად ხვდა ელიოზს. მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს შეეგება თავისი და, სიდონია, რომელმაც უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა. ელიოზმა იგი კვართთან ერთად დაკრძალა იქ, სადაც შემდეგ სვეტიცხოველი აღიმართა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ IV საუკუნის 20-იან-30-იან წლებში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ჩამოსულმა ნინომ სწორედ ებრაელთა მღვდელმოდღვარ აბიათარს და მის ასულ სიდონიას უქადაგა სახარება. მოგვიანებით კი მათ სხვა ებრაელებიც მიემატნენ.

საგულისხმოა, რომ ებრაულმა თემატიკამ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებაშიც დაიკავა გამოჩენილი ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ებრაელთა მიმართ არასდროს ყოფილა შევიწროების ან მიზანმიმართული დევნის შემთხვევა რელიგიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე, რაც სხვა ქვეყნებში ესოდენ ხშირი მოვლენა იყო. ქართველები განსაკუთრებული ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ ებრაელების მიმართ. თავის მხრივ, ქართველი ებრაელები ყოველთვის ერთგული რჩებოდნენ საქართველოს და ქართველი ხალხისა,

რამაც განაპირობა მათ შორის კეთილმეზობლური, კეთილგანწყობილი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ჩამოყალიბება.

A number of very significant documentary materials have been preserved in Georgian historical and religious writings, according to which the main moments of the settlement of Georgian Jews in Georgia are established. Jews first appeared in Georgia after the sack of Jerusalem by Nebuchadnezzar, in the 6th century BC. The second influx of Jews arrived in Georgia in the 1st century AD (during the reign of Barthom and Kartami, the sons of the Kartli king – Aderki), after the Roman Caesar Vespasian sacked Jerusalem.

According to the “Conversion of Kartli”, Elioze of Mtskheta, who was a representative of the Jewish community of Mtskheta, was present at the crucifixion together with Longinos of Kars. After the crucifixion, they “divided the garments” of Jesus, and Elioze received His robe. Upon returning to Mtskheta, Elioze met his sister, Sidonia, who, holding the robe of the Lord to her heart, breathed her last. Elioze buried her with the robe at the place where Svetitskhoveli was later erected. It should be noted that in the 20s-30s of the 4th century, Nino, who came to Georgia to spread Christianity, preached the Gospel to the Jewish priest Abiathar and his daughter Sidonia. Later, other Jews joined them.

It is noteworthy that the Jewish theme also occupied a prominent place in the works of the classics of Georgian literature.

It should be noted that in Georgia there was never a case of harassment or deliberate persecution of Jews on religious or ethnic grounds, which was such a frequent occurrence in other countries. Georgians were distinguished by their special tolerance towards Jews. In turn, Georgian Jews always remained loyal to Georgia and the Georgian people, which led to the formation of a centuries-old tradition of good-neighbored, friendly coexistence between them.

აგრარული ტერმინები მცირე წინასწარმეტყველთა
ოშკურ და იერუსალიმურ ხელნაწერებში

AGRICULTURAL TERMS IN THE OSHKI AND JERUSALEM MANUSCRIPTS OF THE MINOR PROPHETS

ნინო ვარდიაშვილი

Nino Vardiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბიბლიის ქართული თარგმანები, ლექსიკა,
აგრარული ტერმინები

Keywords: Georgian translation of the Bible, lexical issues, agricultural
terms

ძველი აღთქმის ტექსტის შესწავლისას ლექსიკაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორი იყო თარგმანის დროინდელი ქართული ენის ლექსიკური ფონდი. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთ სიტყვებზე დაკვირვება, რომლებსაც, სავარაუდოდ, თარგმანის შექმნის ეპოქაში ყოველდღიურ მეტყველებაშიც იყენებდნენ.

ასეთებს შორისაა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები, როგორიცაა: მიწის, მოსავლისა და სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი სიტყვები. მოხსენებაში განხილულია ამ შინაარსის ცნებების ბერძნულ-ქართული შესატყვისობები: მიწის ნაკვეთის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (მინდორი, ველი, ვენაჭი, აგარაკი, ყანა, მალნარი, უდაბნო); ნაყოფთან დაკავშირებული ლექსიკა (ნაყოფი, ყურძენი, კლერტი); სამუშაო იარაღები (ცელი, ნამგალი// მანგალი, საჯნისი).

ლექსიკა განხილულია მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანის მიხედვით, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულია ბიბლიის ორი კრებულით – ოშკური (Ath. 1, 978-79წ.) და იერუსალიმური (Jer. Geo. 7/11 XI ს.) ხელნაწერებით.

კვლევის მიზანია, დავაკვირდეთ: ერთი მხრივ, ქართველი პირველმთარგმნელები რა მეთოდით არჩევდნენ ლექსიკურ ეკვივალენტს სამეურნეო ტერმინების გადმოტანისას, რამდენად იცავდნენ ეკვივალენტურ სიმყარეს; მეორე მხრივ კი, რამდენად და რა მიმართულებით იცვლებოდა ამ ტიპის ლექსიკა გადანერის პროცესში.

The study of vocabulary in the Old Georgian translations of the Minor Prophets allows us to explore the lexical characteristics of the Georgian language during the period of translation.

Special attention is given to *agricultural terms*, which were likely part of everyday spoken language at the time. These include words related to land, produce, and farming tools. The paper focuses on Georgian-Greek lexical equivalents for terms such as:

მინდროი (field), ვედი (plain), ვენახი (vineyard), აგაჩაკი (estate), ყანა (grain field), მაღნახი (orchard), უდაბნო (wilderness); ნაყოფი (fruit), ყუჩქენი (grape), კდეხგი (cluster); ცედი (scythe), ნამგადი / მანგადი (sickle), სახნისი (plow).

The vocabulary is examined based on two early Georgian manuscript traditions of the Minor Prophets: the Oshki manuscript (Ath. 1, 978–979 AD) and the Jerusalem manuscript (Jer. Geo. 7/11, 11th century). While both manuscripts derive from the same translation, they contain minor lexical differences that are of particular interest.

The purpose of this study is twofold:

1. To examine how early Georgian translators chose lexical equivalents for Greek agricultural terms and whether they followed consistent strategies;
2. To explore how this type of vocabulary changed during the process of manuscript transmission.

ებრაელთა განათლება საქართველოში
(ისტორია და თანამედროვეობა)

JEWISH EDUCATION IN GEORGIA (HISTORY AND MODERNITY)

ფიქრია ვარდოსანიძე

Pikria Vardosanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ებრაელთა განათლება, საქართველო, ისტორია,
თანამედროვეობა

Keywords: Jewish education, Georgia, history, modernity

მოხსენებაში განხილულია საქართველოში ებრაელთა, უფრო კონკრეტულად კი, მათი განათლების საკითხები. თემით დაინტერესება გამოიწვია ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ და თანამედროვე მდგომარეობამ.

მოგეხსენებათ, საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და სხვადასხვა ეთნოსი ჩვენთან ყოველთვის თავს გრძნობდა ისე, როგორც საკუთარ ქვეყანაში და, ამავე დროს, ინარჩუნებდა საკუთარ იდენტობას.

ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვანი ისტორია, საერთო კულტურა, უამრავი ფილმი, სამეცნიერო თუ მხატვრული ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორივე მხარისათვის. შესაბამისად, ებრაელთა თემის, მათი განათლების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა აუცილებელია.

ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი და აფხაზი ეთნოსის წარმომადგენლები, გამონაკლისია ებრაელთა თემი.

სტატიაში წარმოდგენილია ებრაელთა საქართველოში შემოსვლის ისტორია, ეტაპები, თანაცხოვრება და თანამედროვე მდგომარეობა.

თეორიული ჩარჩოსა და ინტერვიუების ანალიზის შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ისტორიულად საქართველოში ებრაელი თემი ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს იმავე სოციალურ-კულტურული თუ სამართლებრივი უფლებებით, როგორც ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე. რაც შეეხება საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, ის ხორციელდება საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის (აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი, აფხაზი), რომელთაც სახელმწიფო (ქართული) ენის ცოდნის დონე დაბალია და/ან საერთოდ ნულოვანია. ისინი 1 წლის განმავლობაში იმაღლებენ სახელმწიფო ენის (ქართული ენის) კომპეტენციას ისე,

რომ მათ შეეძლოთ, სწავლა გააგრძელონ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ქართულენოვან პროგრამებზე.

The presented article discusses the issues of Jews in Georgia, more specifically their education. The interest in the topic was aroused by the centuries-old history and modern situation of Georgians and Jews.

As you know, Georgia is a multi-ethnic country where various ethnic groups have always felt at home while preserving their own identity.

The 26-century-long history of Georgians and Jews, their common culture, numerous films, scientific and artistic works, are especially important for both sides; therefore, it is necessary to study the modern state of the Jewish community and their education.

Recently, a program to promote the education of ethnic minorities has been actively implemented in Georgia, in which representatives of the Azerbaijani, Armenian, Ossetian and Abkhazian ethnic groups actively participate, with the exception of the Jewish community.

The article presents the history, stages, coexistence and current situation of the arrival of Jews in Georgia.

In accordance with the theoretical framework and the analysis of interviews, it can be concluded that historically the Jewish community in Georgia has always enjoyed and enjoys the same socio-cultural and legal rights as any citizen of our country. As for the educational program for ethnic minorities in Georgia to prepare for the Georgian language, it is implemented for those citizens of Georgia (Azerbaijani, Armenian, Ossetian, Abkhazian) whose level of knowledge of the state (Georgian) language is low and/or zero. They will improve their proficiency in the state language (Georgian) for 1 year so that they can continue their studies in Georgian-language programs at any higher educational institution in Georgia.

„მთარგმნელთა კოშმარი“ – იდომებისა და
ორიგინალის ენის სხვადასხვა სინთაქსური
კონსტრუქციის გადმოტანა ივდითის წიგნის ძველ
ქართულ თარგმანში

**“TRANSLATOR’S NIGHTMARE” – RENDERING IDIOMS
AND DIFFERENT SYNTACTIC CONSTRUCTIONS OF THE
ORIGINAL INTO THE OLD GEORGIAN TRANSLATION OF
THE BOOK OF JUDITH**

ლალი ვაშაკმაძე

Lali Vashakmadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ივდითი, თარგმანის ტექნიკა, იდიომა

Keywords: Judith, translation technique, idiom

ბიბლიის წიგნთა მთარგმნელებისთვის განსაკუთრებით რთული დედნის სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გადმოტანა იყო (ა. ხარანაული). იდიომატური გამოთქმები, როგორც წესი, ამა თუ იმ ენის კუთვნილებათა და მათი გაგება უცხო ენაზე მოლაპარაკეთათვის რთული და ხანდახან შეუძლებელიცაა. მით უფრო რთულია მათი თარგმნა. მსგავსი გამოთქმები არაა უცხო ებრაული ბიბლიისათვის, საიდანაც ის მის ბერძნულ თარგმანში შევიდა და ქართველი მთარგმნელის ამოცანა, რომელიც ბიბლიას ბერძნულიდან თარგმნის, ერთი-ორად გართულდა. მას მოუწია, „ებრაული და ბერძნული სინტაქსის ნაზავს“ (ა. ხარანაული) შესჭიდებოდა და წმინდა წერილი ქართველ მკითხველამდე შეუცდომლად მიეტანა.

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ ივდითის წიგნის ძველ ქართულ თარგმანში შემონახულ იდიომებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს და ვნახავთ, რა გზა აირჩია ქართველმა მთარგმნელმა ამ რთული დავალების შესასრულებლად: სიტყვასიტყვით თარგმნა მისთვის ბუნდოვანი გამოთქმები თუ თარგმანის შედარებით თავისუფალი მეთოდს მიმართა.

One of the major challenges for the biblical translators was the adequate rendering of the syntactic constructions of the original (A. Kharanauli). Idiomatic expressions are typically specific to a given language, and it can be difficult – or even impossible – for speakers of a foreign language to understand them. Translating them is even more challenging. Such expressions are not foreign to the Hebrew language; the Hebrew Bible is therefore full of them. As the Georgian translation is based on the Greek Bible, which is itself a translation of the Hebrew Bible, the task of the Georgian translator was doubly complex. He had to grapple with a “mixture of Hebrew and Greek syntax” (A. Kharanauli) to convey the Holy Scripture without error to the Georgian reader.

This paper examines idiomatic expressions and syntactic constructions preserved in the Old Georgian translation of the Book of Judith, exploring the approach taken by the Georgian translator when handling this complex task: whether he opted for a word-for-word translation of *unclear* expressions or employed a relatively freer method of translation.

**ქართულთა და ებრაელთა ეპისტოლური
მემკვიდრეობა
(სიმონ შათაშვილისა და გენადი სადუნიშვილის
მიმოწერის მაგალითზე)**

**EPISTOLARY HERITAGE OF GEORGIANS AND JEWS
(ON THE EXAMPLE OF THE CORRESPONDENCE OF
SIMON SHATASHVILI AND GENADI SADUNISHVILI)**

ინგა ზაბახიძე, ქეთევან ლორთქიფანიძე
Inga Zabakhidze, Ketevan Lortkipanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სიმონ შათაშვილი, გენადი სადუნიშვილი
Keywords: Simon Shatashvili, Genadi Sadunishvili

სამხრეთ კავკასია უძველესი დროიდანვე ხალხთა დიდი მიგრაციების აქტიური ზონა იყო, რაც კარგად აისახა „ქართლის ცხოვრებაში“. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, რელიგიური თუ ეთნიკური სიჭრელე ნათლად მეტყველებს საზოგადოებრივი ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე. ისტორიულ წარსულში აქ გადმოსახლებულ ხალხთა შორის უძველესი ებრაული ეთნოსია, რომლის მოსვლაც საქართველოში ოცდაექვსი საუკუნის წინ მოხდა და უკავშირდება „ბაბილონურ ტყვეობას“. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს არცერთ ერს არ აქვს ებრაელებთან თანაცხოვრების იმხელა ისტორიული გამოცდილება, რამხელაც ქართველებს.

წერილი (ეპისტოლე) არის კულტურულ-ისტორიული ფენომენი, რომელიც ხასიათდება ტრანსაქციული ბუნებით და ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას. ეპისტოლური ჟანრი, წერილის წერის კულტურა კარგავს თანდათანობით თავის პირვანდელ მნიშვნელობას ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში. ტექნიკური პროგრესის შედეგად მის ადგილს იკავებს ესემეს შეტყობინებები, ელექტროფოსტა. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია, რადგან წერილი არა მარტო გარკვეული ინფორმაციის მატარებელი და ფაქტობრივი მასალის შემნახავია, არამედ, იმავდროულად, ადამიანის გრძნობათა და განცდათა უტყუარი გადმომცემია.

წერილი, როგორც ურთიერთობის ერთ-ერთი უნიკალური საშუალება, იმავდროულად, ისტორიული წყაროს ნაირსახეობაცაა.

ებრაულ-ქართული ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა კარგად ჩანს მათ მიმოწერაში. მოხსენებაში საუბარი გვექნება მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის, სიმონ შათაშვილისა და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგ გენადი სადუნიშვილის მიმოწერის შესახებ. სიმონ შათაშვილის წერილებში კარგად ჩანს, თუ როგორ დიდ ყურადღებას იჩენს იგი საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ამის დასტურად გთავაზობთ ამონარიდს მისი ერთ-ერთი წერილიდან:

„გენადი, ილია ქავჭავაძის იუბილემ კარგ დონეზე ჩაიარა, რითაც დიდად ნასიამოვნები დავრჩი. საინტერესოა, აკაკის იუბილეს ასეთივე ღირსებით მზადდება? არაფერი გვევალება? გულსატკენი იქნება, თუ საქართველოს ბულბულის დღესასწაულმა ზენიტში არ ჩაიარა... მე მზად ვარ 200-250 მანეთის ფარგლებში გამოვყო ამ საქმისთვის. ასევე, ჩემი ორი ძმა. მომწერე, რა ვიღონოთ, რომ აკაკიც დიდი ღირსებით გამოჩნდეს. მომიკითხე ოჯახი, შენი სიმონ შათაშვილი“ (წერილი დათარიღებულია 1987 წ. 13 თებერვლით).

Since ancient times, the South Caucasus has been a key region of large-scale migrations, a phenomenon well documented in the Life of Kartli. Georgia's cultural heritage, both religious and ethnic, reflects a high degree of social integration. Among the various peoples who historically migrated to Georgia, the oldest is the Jewish community, whose arrival dates back twenty-six centuries and is associated with the Babylonian Captivity. Notably, no other nation has as extensive a historical experience of coexistence with Jews as the Georgians.

A letter (epistle) is a cultural-historical phenomenon characterized by its transactional nature and communicative function. The epistolary genre – the tradition of letter writing – is gradually losing its significance in the contemporary pragmatic era. With technological advancements, it has largely been replaced by text messages and email. This shift is unfortunate, as letters serve not only as carriers of information and repositories of factual material but also as unique conveyors of human emotions and experiences. As a distinctive means of communication, a letter also functions as a historical source.

The longstanding friendship between Jews and Georgians is evident in their written correspondence. This study examines the

exchange of letters between two well-known figures: the world-renowned scientist Simon Shatashvili and the public figure and educator Genadi Sadunishvili.

Shatashvili's letters reveal his keen interest in the events unfolding in Georgia. An excerpt from one of his letters illustrates this engagement: "Genadi, Ilia Chavchavadze's anniversary was organized at a high level, which greatly pleased me. I am curious – will Akaki's anniversary be prepared with the same dignity? It would be deeply disheartening if the 'Georgian Nightingale' celebration did not reach its zenith... Personally, I am prepared to allocate 200-250 rubles for this purpose. My two brothers are also ready. Seek counsel with your family. Simon Shatashvili" (letter dated February 13, 1987).

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი
(პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე
წინასწარმეტყველთა საკითხავების მიხედვით)

**THE STYLE OF THE RECENSION OF GEORGE THE
HAGIORITE (ACCORDING TO THE PERICOPES OF MINOR
PROPHETS PRESERVED IN THE PROPHETOLOGIA)**

მარიამ თხინვალელი

Mariam Tkhinvaleli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტექსტოლოგია, პროფეტოლოგიონი,
გიორგი მთაწმინდელი

Keywords: textology, Prophetologia, George the Hagiorite

ბიბლიის ძველი ქართული თარგმანი, ბიბლიის ხელნაწერების გარდა, დაცულია ლიტურგიკულ კრებულებში: ლექციონარებსა და საწინასწარმეტყველოებში, ანუ პროფეტოლოგიონებში. საწინასწარმეტყველო შეიცავს ე.წ. კონსტანტინეპოლური წესის საეკლესიო კალენდარზე განწყობილ ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებს. წყაროების მიხედვით (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 192 ხელნაწერის ანდერძი და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“), პროფეტოლოგიონის ქართულად მთარგმნელი გიორგი ათონელია.

საწინასწარმეტყველოებში შეტანილია 12-იდან 6 მცირე წინასწარმეტყველის (იოველი, იონა, მალაქია, მიქეა, სოფონია, ზაქარია) 14 საკითხავი (მაგრატველიძე).

პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავების, ერთი მხრივ, ბერძნულთან და, მეორე მხრივ, სხვა ქართულ ვერსიებთან (ბიბლიის ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხასა და ლექციონარებთან) შედარების საფუძველზე, მოხსენების მიზანია შემდეგ საკითხებში გარკვევა:

ა) მცირე წინასწარმეტყველთა რა ტიპის ტექსტი უდევს საფუძვლად გიორგი ათონელს ტექსტის სწორებისას – ბიბლიისა (თუ ასეა, კონკრეტულად რომელ ტიპს მიჰყვება – ოშკურსა თუ იერუსალიმურს) თუ ლექციონარისა;

ბ) პროფეტოლოგიონებში დაცული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები არსებული თარგმანის რევიზიას (თუკი ასეა, როგორია გიორგი ათონელის რევიზირების პრინციპები, რას და რა მიზნით ცვლის იგი ძველ თარგმანში?), თუ მისი ახალი თარგმანი;

გ) პროფეტოლოგიონებში ბერძნული წყაროებიდან და თარგმანის ტექნიკით განპირობებული ცვლილებების კვალიფიცირება;

დ) ბერძნულიდან მომდინარე ცვლილებათა შესწავლის საფუძველზე, დადგენა იმისა, თუ რომელი ტრადიციის ბერძნული ტექსტი გამოიყენა გიორგი მთაწმინდელმა.

The old Georgian translation of the Bible is preserved not only in Biblical manuscripts, but also in liturgical books, such as Lectionaries and Prophetologia. The Prophetologion contains the pericopes of the Old and New Testament arranged according to the Byzantine Rite. According to the sources (The colophon of manuscript A 192 from the National Centre of Manuscripts and *“The life of St. George the Hagiorite”* by George Mtsire) the translator of the Prophetologion into Georgian is George the Hagiorite.

The Prophetologia contains 14 pericopes from six of the Twelve Minor Prophets (Joel, Jonah, Malachi, Micah, Zephaniah, Zechariah) (Magrakvelidze).

By comparing the text of Minor Prophets preserved in the Prophetologia with on the one hand, the Greek texts, and on the other, the different Georgian versions (The Oshki Bible, The Jerusalem Bible and Lectionaries), the aim of the thesis is to clarify the following issues:

a) Which text type of the Minor Prophets does George the Hagiorite primarily follow while revising the text: the Biblical text (and if so, which translation: the Oshki or the Jerusalem one) or the Lectionary;

b) Are the texts of the Minor Prophets Preserved in the Prophetologia a revision of an existing translation (and if so, what are George the Hagiorite’s principles of the revision, what does he alter and for what purpose?) or are they a new translation;

c) To identify whether the changes originate from the Greek or are result of the translation technique;

d) To determine which Greek textual tradition George the Hagiorite employed, Based on the analysis of changes derived from the Greek.

**„ქებათა ქების“ გრიგოლ ნოსელისეული განმარტება
და მისი წინამძღვრები ებრაულ ტრადიციაში**

**GREGORY OF NYSSA'S INTERPRETATION OF THE “SONG
OF SONGS” AND ITS PRECONDITIONS IN THE JEWISH
TRADITION**

მაია კაკაშვილი

Maia Kakashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქებათა ქება, გრიგოლ ნოსელი,
ებრაული ტრადიცია

Keywords: Song of Songs, Gregory of Nyssa, Jewish tradition

სოლომონის „ქებათა ქების“ ოთხი სახის ალეგორიული განმარტება არსებობს:

ა) ებრაული „ქებათა ქებაში“ ხედავს საუბარს იაჰვესა და მის რჩეულ ერს შორის;

ბ) უადრესი ქრისტიანული ალეგორიული განმარტების თანახმად, აქ გადმოცემულია ქრისტესა და ეკლესიის კავშირი;

გ) „ქებათა ქებაში“ ხედავენ სულისა და ლოგოსის კავშირს;

დ) მარიამს მიეწერება ყველაფერი, რაც „ქებათა ქებაში“ სძალზეა ნათქვამი.

ოსია, ესაია და იერემია წინასწარმეტყველები იერუსალიმს სძლად მოიპყრებენ. 44-ე ფსალმუნი უფლისა და მისი ერის მისტიკურ კავშირს გამოხატავდა. რაბინები დაუშვებლად თვლიდნენ ტექსტში ხორციელი სიყვარულის დანახვას.

წმ. ფილასტროსმა დაგმო ისინი, ვინც ამ თხზულებაში მხოლოდ ადამიანურ ვნებათა ილუსტრაციას ხედავდნენ.

ახალი აღთქმის ტექსტებში ქრისტე იწოდება სიძედ, მისი მოწაფეები - ქრისტეს მეგობრებად. ათი ქალწულის იგავიც ქორწილის სახისმეტყველებას უკავშირდება. იოანე ნათლისმცემელი იწოდება სიძის მეგობრად. იოანეს „გამოცხადება“ შეიცავს ღვთაებრივ ქორწინებასთან დაკავშირებულ მინიშნებებს.

„ქებათა ქების“ პირველი ქრისტიანული განმარტება იპოვდება რომაელს ეკუთვნის. ორიგენესთან წარმოდგენილია ეკლესიისა და ქრისტეს, სულისა და სიტყვის (ლოგოსის) სპირიტუალური თეოლოგია. ორიგენეს, რაბინთა მსგავსად, არ სურს, „ქებათა ქებაზე“ ყველას მიუწვდებოდეს ხელი, რადგან ბიბლიის ეს წიგნი სულიერ სიყვარულს - აგაპეს ეხება.

გრიგოლ ნოსელი „ქებათა ქების“ განმარტებას შეუდგა იმ მიზნით, რომ მიწიერ ადამიანებს სულის სინმინდის მიღწევაში დახმარებოდა. კაპადოკიელი მამა განიხილავს „ქებათა ქებაში“ აღწერილ სიყვარულს, „ქებათა ქების“ პერსონაჟებსა და ძველი აღთქმის ამ წიგნის სათაურს, განმარტავს სოლომონის სახელს, მსჯელობს მისი სამი თხზულების შესახებ.

გრიგოლ ნოსელი ღვთივსულიერი წერილის განმარტების ერთადერთ სწორ მეთოდად ალეგორიულს მიიჩნევს.

Four allegoric interpretations on Solomon's *Song of Songs*:

a) In the Jewish tradition the *Song of Songs* is an allegory for the relationship between God and Israel.

b) According to the earliest Christian allegory, the book became a depiction of the relationship between Christ and the Church.

c) There is shown relationship between the soul and Logos.

d) What is said in the *Song of Songs* about the bride, indicates to Mary.

For Hosea, Isaiah and Heremias Jerusalem is the bride. The 4th psalm indicates mystic relationship between the God and his people. For the rabbins it was intolerable to see the corporal love in the text.

Saint Philastrius condemned those who saw in the text the human passion.

In the New Testament, Christ is called as bridegroom, his disciples as the friends of Christ.

The first Christian interpretation belongs to Hippolytus of Rome. At Origen spiritual theology of Church and Christ, soul and Logos are shown.

The Gregory of Nyssa reviews the love in the *Song of Songs*, the characters of the *Song of Songs* and the title of it, interprets Solomon's name. Capadocian father thinks that the allegory is the only method to interpret this holy Bible.

მირზა გელოვანის მეტრიკა
THE METRICS OF MIRZA GELOVANI

სალომე ლომოური
Salome Lomouri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მირზა გელოვანი, ქართული პოეზია, მეტრიკა/
ვერსიფიკაცია

Keywords: Mirza Gelovani, Georgian poetry, metrics/versification

მირზა გელოვანი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. პოეტს განსაკუთრებით რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა: ბოლშევიკური მთავრობა მხატვრული შემოქმედების მხოლოდ ერთ – სოციალისტური რეალიზმის – მეთოდს აღიარებდა და ყველას, ვინც ნოვატორობის გზას ადგა, სასტიკად უსწორდებოდა. ცხადია, ამგვარ პირობებში ადვილი არ იყო სიახლისთვის ბრძოლა, მაგრამ მირზა გელოვანმა, „ჩვენი თაობის“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მოახერხა, ახალი სიტყვა ეთქვა ქართულ პოეზიაში. ამას მისი მდიდარი მეტრული რეპერტუარიც მოწმობს.

მირზა გელოვანის ლირიკას მეტრულ-რიტმული მრავალფეროვნება ახასიათებს. პოეტი იყენებს როგორც იზოსილაბურ, ასევე ჰეტეროსილაბურ საზომებს, გვხვდება მყარი სალექსო ფორმებისა და ვერლიბრის ნიმუშებიც. იგი, ასევე, აფართოებს ქართული რითმის შესაძლებლობებს. მ. გელოვანის ლირიკის უდიდესი ნაწილი სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5) არის გაფორმებული: 316 ლექსიდან ეს საზომი გვხვდება 157 ლექსში. პოეტი ათმარცვლედის თითქმის ყველა ვარიაციას იყენებს. ასევე, ხშირად იჩენს თავს 14-მარცვლედი თავისი ვარიაციებით (ბესიკური – 5/4/5, 4/4/4/2, 4/3/4/3), მაღალი და დაბალი შაირი (8-მარცვლედი) და 7-მარცვლედი. თუმცა მირზას მეტრული რეპერტუარი მოიცავს ნაკლებად დამკვიდრებულ საზომებსაც. აშკარაა, რომ პოეტი არ ერიდება ექსპერიმენტებს.

მ. გელოვანის პოეზია მიდრეკილია ჰეტეროსილაბიზმისკენ და ხშირად ორიგინალურ და მელოდიურ კომპოზიციებს გვთავაზობს. პოეტი მეტრის ცვლილებით ათამაშებს რიტმსა და ინტონაციას და ზოგჯერ მოულოდნელ ეფექტს ქმნის. უფრო მეტიც, გელოვანის პოეზიაში გამოიკვეთება ე.წ. შერეული ტიპის ლექსები. საზომის მეშვეობით ყალიბდება: ლექსის

რიტმი, ინტონაცია, განწყობა, ემოცია; ჩქარდება ან ნელდება კითხვის ტემპი და დინამიკა. შესაბამისად, მეტრული რეპერტუარის კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების შესწავლისას.

ჩვენი ნაშრომის ამოცანაა მირზა გელოვანის ლექსების ვერსიფიკაციის შესწავლა. ამისათვის, უმეტესად, აღწერით მეტრიკას დავყრდნობით. თუმცაღა, მირზა გელოვანის ლექსების მეტრული რეპერტუარის დადგენასთან ერთად, ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ ფორმისა და შინაარსის ურთიერთზემოქმედება. პოეტები ხშირად მიმართავენ განსხვავებულ საზომებს განსხვავებული სათქმელის გადმოსაცემად. ზოგჯერ ეს ქვეცნობიერად ხდება, სხვა შემთხვევებში კი ავტორი მიზანმიმართულად ეძიებს იდეალურ ფორმას თავისი ემოციისა თუ ნააზრევის გადმოსაცემად. სწორედ შინაარსისა და ფორმის ჰარმონია ქმნის მაღალმხატვრულ, დახვეწილ პოეტურ ნაწარმოებებს. მირზა გელოვანის ბევრი ლექსი ამგვარ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. მისი მეტრული რეპერტუარის შესწავლა დაგვეხმარება ქართული პოეზიის განვითარების გზის კვლევაში.

Mirza Gelovani was one of the leading figures of the new generation of Georgian poets who emerged in the 1930s. His work draws attention in many ways. The poet had to work during an especially difficult time: the Bolshevik government recognized only one method of artistic creation – socialist realism – and ruthlessly persecuted anyone who sought innovation. Naturally, under such conditions, it was not easy to fight for something new, yet Mirza Gelovani, along with other members of the “Our Generation” group, managed to bring a fresh voice to Georgian poetry. His rich metrical repertoire is proof of this achievement.

Mirza Gelovani's lyric poetry is characterized by metrical and rhythmic diversity. The poet employs both isosyllabic and heterosyllabic meters, as well as examples of fixed poetic forms and free verse. He also expands the possibilities of Georgian rhyme. A large portion of Gelovani's lyrics are composed in a symmetrical ten-syllable meter (5/5): among 316 poems, this meter appears in 157. The poet makes use of nearly all variations of the ten-syllable line. In addition, fourteen-syllable meters and their variations (such as 5/4/5, 4/4/4/2, 4/3/4/3), high and low shairi (eight-syllable lines), and seven-syllable meters are frequently encountered. However, Gelovani's metrical repertoire also includes less conventional meters. It is clear that the poet does not shy away from experimentation.

Gelovani's poetry shows a tendency toward heterosyllabism and often presents original and melodious compositions. Through changes in meter, the poet manipulates rhythm and intonation, sometimes creating unexpected effects. Moreover, his poetry exhibits what can be described as mixed-type verse. Through meter, a poem's rhythm, intonation, mood, and emotion are formed; the pace and dynamics of reading either accelerate or slow down. Therefore, studying a poet's metrical repertoire is crucial for understanding their body of work.

The aim of this paper is to study the versification of Mirza Gelovani's poetry. For this, we will mainly rely on descriptive metrics. However, in addition to identifying the poet's metrical repertoire, our goal is to explore the interaction between form and content. Poets often choose different meters to express different messages. Sometimes this occurs subconsciously, while in other cases the poet deliberately searches for the ideal form to convey their emotions or thoughts. It is precisely the harmony between form and content that creates high-quality, refined poetic works. Many of Mirza Gelovani's poems belong to this category. The study of his metrical repertoire will help us explore the development path of Georgian poetry.

კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის ადგილი
მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში

COMPOSER JOSEPH BARDANASHVILI'S PLACE IN THE WORLD OF MUSIC

ქეთევან ლორთქიფანიძე, ინგა ზაბახიძე
Ketevan Lortkipanidze, Inga Zabakhidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი,
სინაგოგური მუსიკა, ვარიაციები ებრაულ თემაზე
Keywords: composer Joseph Bardanashvili, Synagogue music,
ariations on a Jewish Theme

საქართველოდან რეპატრირებულმა ხელოვანმა ებრაელებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს კულტურაში. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედება, როგორც ორი ქვეყნის, საქართველოსა და ისრაელის შვილისა. მისი შემოქმედება ატარებს როგორც ქართული სამუსიკო ტრადიციების ნიშნებს, ასევე – ებრაულისას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ბედნიერი ვარ, რომ ვემსახურო ორივე ერს – აქედან საქართველოს და იქიდან – ისრაელს“.

იოსებ ბარდანაშვილი დაიბადა 1948 წლის 23 ნოემბერს ქ. ბათუმში, ცნობილი მხატვრის, იუზა ბარდანაშვილის ოჯახში. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტი. გახლდათ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე. სხვა მრავალ ჯილდოსთან ერთად მინიჭებული აქვს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია. 1995 წელს გაემგზავრა ისრაელში, სადაც მალევე მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს და დღესდღეობით ის ისრაელის გამორჩეული, მსოფლიო დონის კომპოზიტორია. ის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე დაინტერესდა ებრაული სინაგოგური მუსიკით, რამაც განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატა მის მრავალფეროვან შემოქმედებას. მისი პირველი „ვარიაციები ებრაულ თემაზე“ თბილისში, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შეიქმნა. „ჩემი თავი აღმოვაჩინე საქართველოს ებრაულ სალოცავებში, მერე წავედი და ვნახე ბევრი ევროპული რამ... მოვიარე იქაც ყველა სალოცავი... ეს რაღაც მაძლიერებს და მაძლევს საშუალებას, მოქნილი ვიყო იქაც, აღმოსავლეთში, ვიყო ევროპაშიც და არ დავკარგო საკუთარი თავი“.

იოსებ ბარდანაშვილი დღეს, ისრაელში, ქ. თელ-ავივის რუბინის აკადემიაში კითხულობს კომპოზიციის კურსს. სხვადასხვა დროს იყო ისრაელის წამყვანი სიმფონიური ორკესტრის მოწვეული კომპოზიტორი, თელ-ავივის თანამედროვე

მუსიკის საერთაშორისო ბიენალეს მუსიკალური ხელმძღვანელი. 2010 წლიდან დღემდე ქ. იერუსალიმის „კამერატას“ მონეველი კომპოზიტორია.

იოსებ ბარდანაშვილს შექმნილი აქვს მრავალი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, კამერულ-ვოკალური, საგუნდო ნაწარმოებები და, აგრეთვე, მუსიკალური ნაწარმოებები სპექტაკლებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ შექმნილი მუსიკა ქართული მხატვრული ფილმებისათვის, როგორებიცაა: „სიყვარული ყველას უნდა“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „მეტიჩარა“, „უკვდავების თეთრი ვარდი“, „გაღმა ნაპირი“ და მრავალი სხვ. საცხოვრებლად ისრაელში წასვლის შემდეგაც არ წყვეტს კავშირს საქართველოსთან და კვლავ წერს მუსიკალურ ნაწარმოებებსა და სიმღერებს ქართული თეატრისა და კინოსთვის. ი. ბარდანაშვილის ნაწარმოებები წარმატებით სრულდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

Jewish artists who repatriated from Georgia have made a great contribution to world culture. Among them, the work of composer Joseph Bardanashvili deserves special attention. As a son of two countries, Georgia and Israel, his work bears the hallmarks of both Georgian and Jewish musical traditions. In his own words: “I am happy to serve both nations – Georgia from here and Israel from there”... He was born on November 23, 1948 in Batumi, in the family of the famous painter Yuza Bardanashvili. Joseph graduated from the Composition Faculty of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. He was the director of Batumi Music School and a Deputy Minister of Culture of the Autonomous Republic of Adjara. Among many other awards, Joseph Bardanashvili was awarded the Zakaria Paliashvili Prize.

In 1995, he traveled to Israel, where he soon achieved exceptional success and is now an outstanding, worldclass Israeli composer. Early in his creative life, he became interested in Jewish Synagogue music, which added a special charm to his diverse work. His first “Variations on a Jewish Theme” were created in Tbilisi, while still a student. “I found myself in the Jewish synagogues of Georgia, then I went and saw many European things... I visited all the shrines there too... This strengthens and allows me to be flexible there, in the East, in Europe, and not lose myself.

Joseph Bardanashvili is currently teaching composition at Rubin Academy in Tel Aviv. At various times, he was a guest composer for Israel’s leading symphony orchestra, musical director of the Tel Aviv International Biennale of Contemporary Music. Since 2010, he has been a guest composer at the Jerusalem “Camerata”. Bardanashvili has created numerous symphonic, vocal-symphonic, chamber-vocal, chamber –instrumental choral works, as well as music works for performances. But of course, the music created for Georgian feature films, such as: “Everyone Wants Love”, “The Journey of a Young Composer”, “Coquette”, “The White Rose of Immortality”, “The Other Shore” and many others, deserve special mention.

Even after moving to Israel, he did not break ties with Georgia and continued to write musical works and songs for Georgian theater and cinema. The composer’s works are successfully performed in many countries around the world.

ბიბლიის ტექსტი არაბიბლიურ ხელნაწერებში
THE BIBLICAL TEXT IN NON-BIBLICAL MANUSCRIPTS

თამარ მაგრაქველიძე
Tamar Magrakvelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მცირე წინასწარმეტყველები, ლექციონარები,
გადამწერები, შეცდომები

Keywords: Minor Prophets, lectionaries, scribes, errors

ყველასათვის ცნობილია, რომ გადამწერები ტექსტებს შემთხვევით ან გამიზნულად ცვლიან. ბიბლიის ტექსტი განსაკუთრებით ლიტურგიკულ ხელნაწერებში იცვლება, რაც მათი გამოყენების ხანგრძლივ ისტორიაზე მიუთითებს. ამასთან, როგორც ჩანს, საჭიროებიდან გამომდინარე, ლექციონარის ხელნაწერები სწრაფად და დაზიანებული დედნებიდანაც იწერებოდა, რაც ზოგჯერ, გადამწერებს ინტერპრეტაციისკენაც კი უბიძგებდა. შესაბამისად, გადანერის პროცესში დაშვებულ შეცდომათა ნაწილი მარტივი ამოსაცნობია, ნაწილი კი არა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარი, ტექსტის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი, ვარიანტები ლიტურგიკული ტექსტების გამომყენებელთათვის, მკითხველისა თუ მსმენელისათვის შეცდომად არ აღიქმება.

მოხსენებაში ვისაუბრებთ, როგორ იწერება მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტები ლექციონარის გადამწერების მიერ. წარმოვადგენთ პარალელურ წყაროებსა და დედანთან შედარების შედეგად აღნუსხულ შეცდომებს, რომლებიც დაჯგუფებული იქნება ტიპების მიხედვით. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ისეთი შეცდომების განხილვას, რომლებიც სხვა ცვლილებების მიზეზნი ხდებიან.

It is well known that texts change through the transmission process, with scribes/copyists either intentionally or accidentally altering them. Biblical texts change, particularly in liturgical manuscripts, reflecting their long history of use. Moreover, it appears that these liturgical manuscripts were sometimes copied rapidly and from damaged originals, thus scribes were prompted to interpret. Some errors made during the copying process are easy to identify; others are more difficult. Nevertheless, these variants, however important for studying text history, are not mistakes for the reader or listener of liturgical texts.

In the present paper, we discuss how the text of the Minor Prophets was written by copyists of the lectionary manuscript. After comparing it with the original and parallel sources, we will demonstrate and group the different types of scribal error. Particular attention will be given to those errors that become the cause of other variations.

შეცროს მთარგმნელთა მარგინალური იკითხვისების
ერთი ფუნქციისათვის

**MARGINAL READINGS OF THE ALTERNATIVE GREEK
VERSIONS IN THE MS SOURCES OF THE GEORGIAN BIBLE**

ნათია მიროტაძე

Natia Mirotadze

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება

Department of Codicology and Textual Studies

საკვანძო სიტყვები: ქართული ბიბლიის ხელნაწერები, ბიბლიის
ალტერნატიული ბერძნული ვერსიები, მარგინალური იკითხვისები

Keywords: MS Sources of the Georgian Bible, alternative Greek versions of
the Bible, marginal readings

სეპტუაგინტას ტრადიციის ხელნაწერ წყაროთა ერთი ნაწილი მარგინალური ვარიანტების სახით უმცროს მთარგმნელთა ალტერნატიულ ვერსიებს შეიცავს.

ქართული, როგორც სეპტუაგინტას ტრადიციის განშტოება, ამ თვალსაზრისითაც არ არის გამონაკლისი. მეფეთა წიგნების შემცველ ქართულ ხელნაწერთა ერთ ჯგუფს აქვს უმცროს მთარგმნელთა ოცამდე მარგინალური ვარიანტი.

მოხსენებაში, ერთი მხრივ, წარმოვადგენთ, როგორია ამ ვარიანტების დისტრიბუცია ხელნაწერი წყაროების მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, შევეცდებით ავხსნათ, რა შეიძლება იყოს ამ ალტერნატიული მარგინალური ვარიანტების ფუნქცია.

The Septuagint textual tradition includes readings of the Three in the margins of the manuscripts. Georgian biblical manuscripts, being part of this tradition, are no exception. Several manuscripts of the Georgian 4 Kingdoms contain approximately 20 marginal readings of the Three.

In this paper, I will explore how these readings are distributed throughout the transmission history, and attempt to explain the function of these marginal readings of the alternative Greek versions.

დაუმორჩილებლობის პოეზია: პოლიტიკური
აქტივიზმი და წინააღმდეგობა ალექსანდროს
პანაღულისის ლექსებში

**THE POETRY OF DISOBEDIENCE: POLITICAL ACTIVISM
AND RESISTANCE IN THE POEMS OF ALEXANDROS
PANAGOULIS**

თამარ მღებრიშვილი
Tamar Mghebrishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ალექსანდროს პანაღულისი, ხუნტა,
თანამედროვე ბერძნული პოეზია, დაუმორჩილებლობა, პოლიტიკური
აქტივიზმი და ლიტერატურა

Keywords: Alexandros Panagoulis, the junta, contemporary Greek poetry,
defiance, political activism and literature

თანამედროვე საბერძნეთის პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ისტორიაში ალექსანდროს პანაღულისი განსაკუთრებულ ფიგურად მიიჩნევა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საბერძნეთში პოლკოვნიკების (ხუნტას) რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში (1967–1974). ნაშრომის მიზანია ალექსანდროს პანაღულისის ცხოვრებისა და შემოქმედების ორი მიმართულებით გაანალიზება: მისი პოლიტიკური აქტივიზმი და ამ პოლიტიკური აქტივიზმის როლი პოეტურ შემოქმედებაში.

პანაღულისის ბიოგრაფიული დისკურსი, ფაქტობრივად, სრულიად შეცვალა გეორგიოს პაპადოპულოსის მკვლევლობის მცდელობამ. რა თქმა უნდა, პოეტმა კარგად იცოდა, რომ ეს შესაძლოა, მისი დაპატიმრებისა და წამების მიზეზი გამხდარიყო. სწორედ ამ თავდასხმის გამო ალექსანდროს პანაღულისი დააპატიმრეს და დიდი ხნის განმავლობაში სრულიად მარტო, იზოლაციაში ამყოფებდნენ. პოეტმა შეძლო და ენა და პოეზია ამ პერიოდში თავის ერთადერთ იარაღად აქცია – ციხეში დაიწერა პანაღულისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტები.

ლექსები, რომლებსაც ნაშრომის ფარგლებში ვთარგმნით და გავაანალიზებთ, ერთგვარი ეროვნული წინააღმდეგობის მანიფესტია. მის პოეტურ ნარატივში დიდ ადგილს იკავებს საკნის კედლები, სიკვდილის მოლოდინის განცდა, წამების ხმები და, რაც მთავარია, წინააღმდეგობა და დაუმორჩილებლობა, როგორც გადარჩენის ერთადერთი მეტაფორა.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდროს პანაღულისს ურთიერთობა ჰქონდა იტალიელ ჟურნალისტსა და მწერალთან, ორიანა ფალაჩთან. სწორედ ფალაჩმა დაწერა მის შესახებ დოკუმენტური წიგნი „ერთი კაცი“ (*Un Uomo* / Ένας άνθρωπος). ეს წიგნი ერთდროულად არის ბიოგრაფიაცა და პოლიტიკური ტრაქტიკი. ფალაჩი წერს კაცზე, რომელიც უარს ამბობს ყველანაირ კომპრომისზე დიქტატორული მმართველობის პირობებში.

1976 წელს პანაღულისი გარდაიცვალა, მისი სიკვდილის მიზეზად ოფიციალურად ავტოავარია დასახელდა, თუმცა სა-

ზოგადოების დიდი ნაწილი ამას პოლიტიკურ მკვლელობად აფასებდა. ბევრი იწერებოდა როგორც იტალიურ, ასევე ბერძნულ ჟურნალ-გაზეთებში. როგორც ჩანს, პანალულისის წინააღმდეგობრივი ძალა რეჟიმისთვის მისი სიკვდილის შემდეგაც საშიში იყო.

ნაშრომში ალექსანდროს პანალულისის წარმოვაჩენთ როგორც ისტორიული, ასევე ლიტერატურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფიგურას თანამედროვე საბერძნეთისთვის. გავანალიზებთ ციხეში ყოფნის პერიოდში დაწერილ ლექსებს, როგორც დაუმორჩილებელი პოეზიის მაგალითებს, რაც გვიბიძგებს, რომ ხელოვნება და წინააღმდეგობა, ლიტერატურა და რევოლუცია განვიხილოთ არა როგორც განცალკევებული, არამედ როგორც ერთიანი მორალურ-ესთეტიკური ძალა.

In both the political and literary history of modern Greece, Alexandros Panagoulis is considered a particularly significant figure. He actively participated in the resistance against the Greek military junta (1967–1974).

This paper aims to analyze the life and work of Alexandros Panagoulis through two main lenses: his political activism and the role that this activism played in shaping his poetic output.

Panagoulis's biographical narrative was fundamentally altered by his attempted assassination of Georgios Papadopoulos, the head of the military regime. The poet was well aware that this act could lead to his arrest and torture. As a result of this attempt, Panagoulis was imprisoned and held in long-term, absolute isolation. During this period, he transformed language and poetry into his only weapon. Some of his most important texts were written while he was in prison.

The poems that are translated and analyzed in this study serve as a kind of manifesto of national resistance. His poetic narrative

frequently returns to the walls of his cell, the anticipation of death, the sounds of torture, and, above all, defiance and disobedience as the sole metaphors for survival.

It is also worth noting that Alexandros Panagoulis had a relationship with Italian journalist and writer Oriana Fallaci, who wrote a documentary-style book about him titled “A Man” (*Un Uomo*/Ένας άντρας). This work functions as both a biography and a political tract, portraying a man who refuses all compromise under a dictatorial regime.

In 1976, Panagoulis died under circumstances officially declared as a car accident. However, a large part of the public perceived his death as a political assassination. The incident was widely discussed in both the Italian and Greek press. Panagoulis’s oppositional force, it seems, remained threatening to the regime even after his death.

This paper presents Alexandros Panagoulis as a figure of both historical and literary significance in modern Greece. By analyzing the poems he wrote during his imprisonment as examples of defiant poetry, the study invites a reconsideration of art and resistance, literature and revolution, not as separate domains, but as a unified moral-aesthetic force.

**„შირ ჰაშირიმის“ ქართული თარგმანი: „ქებათა-ქება
შელომო მეფისა“**

**THE GEORGIAN TRANSLATION OF “SHIR HASHIRIM”:
“KING SHELOM’S PRAISE OF PRAISES”**

ეკატერინე ნავროზაშვილი
Ekaterine Navrozashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შირ ჰაშირიმი, შალომ დავიდი, „ქებათა-ქება
შელომო მეფისა“, ქართული თარგმანი
Keywords: Shir Hashirim, Shalom David, “King Shelom’s Praise of Praises”,
Georgian translation

„შირ ჰაშირიმი“ „თანახის“ (ძველი აღთქმა) ერთ-ერთი წიგნია. ჟანრის თვალსაზრისით იგი პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება. ტრადიციის მიხედვით, წიგნის ავტორობა ისრაელის მესამე მეფეს, სოლომონს, მიეწერება (ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს).

„შირ ჰაშირიმის“ პოეტური ენა ბიბლიაში შემავალი პროზაული ტექსტებისგან განსხვავდება ლექსიკით, სიტყვათა სემანტიკით, ტექსტის ფორმითა და სინტაქსური რელაციებით. წიგნი 8 თავისა და 117 მუხლისაგან გან შედგება, შეიცავს დიალოგებსა და მონოლოგებს.

ტექსტი საინტერესოა არა მარტო ისტორიითა და განმარტებებით, არამედ სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანებითაც, მათ შორის – ქართულენოვანი თარგმანებით. ძველი თარგმანების ე.წ. პირველწყაროდ ბერძნული ტექსტია მიჩნეული. მე-20 საუკუნის თარგმანები კი უშუალოდ ებრაული ენიდან არის შესრულებული (მთარგმნელები არიან: გ. ბააზოვი, ნ. ელიაშვილი, გრ. ფერაძე, ზ. კიკნაძე, ი. დავიდი, შ. დავიდი და ა. მამისთვალოვი).

მოხსენებაში გავაანალიზებთ „შირ ჰაშირიმის“ შალომ დავიდისეულ თარგმანს – „ქებათა-ქება შელომო მეფისა“. თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1993 წელს ისრაელში (თელ-ავივი) შალომ დავიდის რედაქტორობითვე გამოცემულ კანონიკურ ლოცვათა კრებულში „ქართულ-ებრაული სიდური-ლოცვანი“, „იმანუელ“. წიგნი ორენოვანია (ებრაულ-ქართული) და შეიცავს ებრაული ჰიმნოგრაფიის პოეტურ საგალობელთა ნაწყვეტებს.

შალომ დავიდის თარგმანი საინტერესოა ორიგინალის ფორმის, მხატვრული ქსოვილის, პოეტური ენის, სტილის, მხატვრული სახეებისა და სხვ. ქართულ ენაზე გადმოტანის თვალსაზრისით და უმნიშვნელოვანესია ქართულად თარგმნილი ბიბლიის ისტორიისა და კვლევისათვის.

“Shir Hashirim” is one of the books of the “Tanakh” (Old Testament). Concerning the genre, it belongs to the number of poetic works, the authorship of which, according to tradition, is attributed to the third king of Israel, Solomon (the issue of the authorship of the latter still causes differences of opinion in scientific literature).

The poetic language of “Shir Hashirim” differs from the prose texts found in the Bible in its vocabulary, semantics, structure and syntactic relations. The work consists of 8 chapters and 117 verses. and contains both dialogues and monologues.

The text is fascinating not only for its history and interpretations but also for its translations into various languages, including Georgian. The so-called primary source of the old Georgian translations of “Shir Hashirim” is considered to be the Greek text. However, the translations of the 20th century were made directly from Hebrew (translators include G. Baazov, N. Eliashvili, Gr. Peradze, Z. Kiknadze, I. David, Sh. David, and A. Mamistvalovi).

This paper analyzes Shalom David’s translation of “Shir Hashirim” - “King Shelom’s Praise of Praises”. The translation was first published in 1993 in Tel Aviv, Israel, in a bilingual Georgian-Hebrew collection of canonical prayers titled *Georgian-Hebrew Siddur Prayers, Imanuel*, edited by Shalom David himself. The book contains excerpts from the poetic hymns of Jewish hymnography.

Shalom David’s translation is noteworthy for its transposition into Georgian, its artistic texture, poetic language, style, imagery and other features, and it is of great significance for the history and study of the Bible translated into Georgian.

ქალთა გეპირი ისტორიები და ტოტალიტარიზმის
მეხსიერება
(მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებული
გერმანელი ებრაელები საბჭოთა კავშირში ერთი
ოჯახის მაგალითზე)

**WOMEN'S ORAL HISTORIES AND THE MEMORY OF
TOTALITARIANISM
(GERMAN JEWS REPPRESSED DURING WORLD WAR II IN
THE SOVIET UNION ON THE EXAMPLE OF ONE FAMILY)**

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტოტალიტარიზმი, რეპრესიები, ებრაელები,
გერმანელი ებრაელები

Keywords: totalitarianism, repressions, Jews, German Jews

ტოტალიტარიზმის არსი მის ერთპიროვნულ მმართველობაში, დიქტატურაში გამოიხატება. იგი ძალადობასა და ერთპიროვნებაზე დამყარებული იდეოლოგიით ცდილობდა, ერთნაირი გაეხადა ყველა მოქალაქის პირადი ცხოვრება, ეთიკა და სული. სულიერი ტყვეობა ადამიანებს უთრგუნავდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: პიროვნული თავისუფლება, თანასწორობა, ჰუმანიზმი და სხვ. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად ინტელექტუალ და შემოქმედებით ძალებს ზღუდავდა. ამიტომაც ტოტალიტარიზმის პოლიტიკურ რეჟიმს, რეპრესიულ მანქანას ნიჭიერი და თავისუფალი ადამიანები, ნამდვილი შემოქმედნი შეეწირნენ.

ზეპირი ისტორიები არის ისტორიული ამბების გახსენება სხვადასხვა პროფესიის მქონე თვითმხილველების მიერ. ზეპირი ისტორიები – ეს არის გადმოცემათა გადმოცემა. ასეთ ისტორიებს არ აქვს პრეტენზია უტყუარობაზე, ჭეშმარიტებაზე, ეს არის ინტერპრეტაციებზე, ემოციებსა და ინდივიდუალურ შეხედულებებზე, საკუთარი თვალის ნანახსა და განცდილზე დაფუძნებული მონათხრობი. ისტორიის პერსონალური ხედვა ზეპირი ისტორიების ამოსავალი წერტილია. ის უკავშირდება მოვლენას, რომელიც, მართლაც, შევიდა ისტორიაში და ინდივიდის მეხსიერებაში არის დაღეჭილი. ასეთი მოგონებები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ღირებული, კორექტული და ნამდვილია ნაამბობი, ვიდრე ოფიციალური ისტორია.

მოხსენება შეეხება მეორე მსოფლიო ომის პერიოდის რეპრესიებს საბჭოთა კავშირში, კერძოდ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ განსაკუთრებით გამკაცრდა ყურადღება გერმანული წარმოშობის, ასევე, გერმანელი ებრაელების ოჯახებზე. მრავალი მათგანი იყო რეპრესირებული. უმრავლესობა გადაასახლეს ყაზახეთში. მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ მე-

ორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებული გერმანელი ებრაელების ისტორიას ერთი ოჯახის მაგალითზე, რომელიც ზეპირი ისტორიების მეთოდის მიხედვით არის ფიქსირებული.

The essence of totalitarianism is expressed in its rule, which is autocratic and dictatorial. It is based on the ideology of violence and non-individualism trying to make every citizen's personal life, ethics and spirit equal. Spiritual captivation urged people to forget such values as individual liberty, equality, humanism and others. All of this, of course, restricted the existence of extremely intellectual and creative powers. Therefore, the totalitarian political regime and its repressive machine killed all the talented and free men, as well as all attempts to create true art.

Oral Histories are a historic recall from various people of different workplaces, backgrounds and experience, who share one common thing: they were witnesses of these events. Oral Histories are conveyed from one generation to another. Such stories do not have a claim for authenticity or absolute truth, they are more a kind of interpretation, emotions and attitudes of the individual, who have seen and lived these stories. The starting point of oral histories is based on the personal vision. They are associated with the event, which went really into history and is precipitated in individual memory. Such memories are closely linked with the factual history. We can argue that in some cases they give more valuable, correct and authentic stories than the official version of the event, which may be transferred in such a way that is acceptable for the government.

The article deals with the Second World War-era repressions in the Soviet Union; in particular, after the Soviet Union's involvement in World War II, strict attention was paid towards people of German

descent, as well as the German-Jewish families. Many of them were repressed and most were deported to Kazakhstan. In the report, we will pay special attention to the history of German Jews repressed during World War II, using the example of one family, which is recorded using the method of oral histories.

„ქებათა ქება“: გამოძახილები შუამდინარულ
ლიტერატურაში

THE “SONG OF SONGS”: ECHOES IN MESOPOTAMIAN LITERATURE

ნინო სამსონია

Nino Samsonia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გილგამეშის ეპოსი, ქებათა ქება, იშთარი, იშხარა,
ბიბლია, შუამდინარეთი

Keywords: Epic of Gilgamesh, Song of Songs, Ishtar, Ishhara,
Mesopotamia, Bible

ძველბაბილონური ეპოსის, „გილგამეშინის“ მე-6 დაფაში, სადაც შუამდინარული სიყვარულის ქალღმერთი იშთარი საბედისწერო და პირველი უარყოფილი სიყვარულის სახით არის წარმოდგენილი, „ქებათა ქების“ პარალელებს ვაწყდებით. წარმოგიდგენთ „გილგამეშინის“ არსებულ პასაჟს და ეროტიკული იდეის მატარებელ სტრიქონებს, გავავლებთ პარალელებს „გილგამეშინისა“ და „ქებათა ქების“ ტექსტებს შორის.

„გილგამეშინში“ იშთარის ასპექტის პირველწყარო უძველესი შუმერული ლიტერატურული და რელიგიური ლურსმულ ტექსტებია, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხის იდეის მატარებლები არიან. მაგალითად: „ინანა და ენქი“, „ათრახასისის ეპოსი“ და სხვ. „გილგამეშინის“ მე-6 დაფის იშთარის სატრფოების ჩამონათვალში არაერთი ძველი დაკარგული მითი უნდა იყოს დაფიქსირებული.

ეროტიკის უძველესი და, შეიძლება ითქვას, პირველი წერილობით დაფიქსირებული იდეა შუმერულ კოსმოგონიურ ტექსტში ფიქსირდება. ეს არის ეროტიკის (ვნების) ME , რაც ითარგმნება როგორც მეობა, იდეა, არსი. ძველ შუამდინარულ რელიგიაში არსებობდა დამოუკიდებელი ქალღმერთი – იშხაჩა, რომელიც ინანა/იშთარის ვნების ასპექტს წარმოადგენდა, მოგვიანებით კი მთელს წინა აზიაში იყო ცნობილი.

ძველი შუამდინარული ლიტერატურის გვირგვინი „გილგამეშინი“ მსოფლიო ლიტერატურის პირველ ძეგლად მიიჩნევა, რომელიც ბიბლიის ძველი წიგნების მემკვიდრეობად უნდა ქცეულიყო. მათ შორისაა შუამდინარული წარღვნის მითიც. ჩვენი დაკვირვება, რომელიც „ქებათა ქების“ უძველეს კვალს შეეხება, კიდევ ერთი დასტური უნდა იყოს ბიბლიის ძველი წიგნების შუამდინარული ლიტერატურული მემკვიდრეობის კონტექსტში შესასწავლად.

In the sixth tablet of the Old Babylonian epic “Epic of Gilgamesh”, the goddess of passionate love, Ishtar, is portrayed as a fatal and initially rejected lover. This depiction reveals parallels to the “Song of Songs”. We present the relevant passage from the “Epic of Gilgamesh” alongside the lines expressing erotic themes, and we draw comparisons between the texts of the “Epic of Gilgamesh” and the “Song of Songs”.

The primary sources for the portrayal of Ishtar in the “Epic of Gilgamesh” are ancient Sumerian literary and religious cuneiform texts, which convey the concepts relevant to our topic. Examples include “Inanna and Enki” and “The Epic of Atrahasis.” The list of Ishtar’s lovers in Tablet 6 of the “Epic of Gilgamesh” likely draws from several ancient, now-lost myths.

The oldest and perhaps the first written concept of eroticism is recorded in a Sumerian cosmogonic text. This is the ME of eroticism (passion), which translates as selfhood, idea, or essence. In ancient Mesopotamian religion, there was an independent goddess, Ishhara, who represented the passionate aspect of Inanna/Ishtar and later became known throughout the entire ancient Near East.

The masterpiece of ancient Mesopotamian literature, “The Epic of Gilgamesh,” is regarded as the first monumental work of world literature and a foundational legacy for the ancient texts of the Bible. Among these is the myth of the Mesopotamian flood. Our study, which focuses on the ancient origins of the “Song of Songs”, offers further confirmation of the importance of examining the ancient books of the Bible within the context of Mesopotamian literary heritage.

გმირობა და მსხვერპლი: ქალთა როლი საბჭოთა
ებრაულ დისიდენტურ მოძრაობაში

HEROISM AND SACRIFICE: THE ROLE OF JEWISH WOMEN IN THE SOVIET JEWRY MOVEMENT

თამარ ტყემალაძე

Tamar Tkemaladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, ცივი ომი, „რეფუზნიკები“,
ანტისაბჭოთა ებრაული მოძრაობა, დისიდენტი ებრაელი ქალები

Keywords: Soviet Union, Cold War, “Refuseniks”, Soviet Jewry movement,
Jewish dissident women.

ეს ნაშრომი იკვლევს ებრაელი დისიდენტი ქალების ჩართულობას ანტისაბჭოთა ებრაულ მოძრაობაში, 1960-80-იანი წლების მონაკვეთში. ოცნლეულში, რომელიც ემთხვევა ცივი ომის პერიოდს და ხასიათდებოდა ინტენსიური ანტისემიტური ჩაგვრითა და შეზღუდული ემიგრაციის უფლებით. გმირული ქმედებებით,

როგორიცაა პროტესტები, შიმშილობა და საერთაშორისო ადვოკატირება, ქალებმა წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა ხელისუფლებასა და მათ პოლიტიკას. არ შეშინებიათ ბრძოლა ებრაული იდენტობისა და თავისუფლებისთვის. პროტესტის მთავარი ამოსავალი წერტილი 1967 წელს მომხდარი ექვსდღიანი ომი და მისი საბჭოთა კავშირში გამოძახილი - ისრაელში ემიგრაციის სურვილი გახდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ებრაელებს უარი უთხრა ემიგრაციაზე. ასეთ ჯგუფებს „რეფუზნიკებს“ უწოდებენ. მსგავსი სახის მოპყრობამ, ებრაელების მიმართ, ბიძგი მისვა ანტისაბჭოთა დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებას, იატაკქვეშა საქმიანობასა და მალევე მოიპოვა საერთაშორისო გამოხმაურება.

ნაშრომი ფოკუსირებულია იმ სამ ძირითად ფიგურაზე, რომლებიც ამ წინააღმდეგობის სულისკვეთებას კარგად გამოხატავენ. რაიზა პალატნიკი,

უკრაინელი ბიბლიოთეკარი, რომელიც 1970 წელს „სამიზნადის“ გავრცელებისთვის დააკავეს. მან გაუძლო ფსიქიატრიულ მკურნალობასა და შრომით ბანაკში პატიმრობას. მისმა ქმედებებმა შთააგონა ბრიტანეთის „35-ების“ კამპანია, გაზარდა გლობალური ცნობიერება საბჭოთა კავშირში არსებული რეპრესირებული რეჟიმის შესახებ მისი გათავისუფლებისა და 1972 წელს ისრაელში ემიგრაციის შემდეგ. იდა ნუდელი, რომელსაც „მფარველ ანგელოზს“ უწოდებდნენ, იდამ საკუთარი ბინა მოსკოვში „რეფუზნიკების“ ცენტრად აქცია. აორგანიზებდა პროტესტებსა და მხარდაჭერის ცენტრებს სამსახურის დაკარგვისა და ოთხწლიანი ციმბირში გადასახლების მიუხედავად. საერთაშორისო ადვოკატირებამ უზრუნველყო მისი ემიგრაცია ისრაელში 1987 წელს, სადაც იმიგრანტი ბავ-

შვებისთვის არაკომერციული ორგანიზაცია დააარსა. ხოლო სილვა ზალმანსონის მონაწილეობამ 1970 წლის ცნობილ „ქორწილის ოპერაციაში“, თვითმფრინავის გატაცების მცდელობაში, მას ოთხწლიანი პატიმრობა მოუტანა, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მსოფლიო ყურადღება მიიქცია საბჭოთა ებრაელების ბრძოლისკენ.

კვლევის მთავარი კითხვაა: რა კონკრეტული გზებით გაუწიეს ებრაელმა ქალებმა წინააღმდეგობა საბჭოთა ჩაგვრას და რა იყო მათი აქტივიზმის შედეგები? თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს ასახოს ამ ქალების საერთო ძალისხმევა და მიღწეული შედეგები.

ეს თემა აპრიორულად მნიშვნელოვანია მეხსიერების კვლევების კუთხით, საბჭოთა და ქალთა ისტორიებისთვის. რადგან, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება მამაკაცებზე

ორიენტირებულ გმირობის ნარატივებს, ხაზს უსვამს ქალების გადამწყვეტ როლებსა და პირადად განეულ მსხვერპლს რეზისტენტულ მოძრაობებში. მათმა ძალისხმევამ ხელი შეუწყო საბჭოთა ებრაელების ემიგრაციას ისრაელში. ქალთა ისტორიების ცენტრალიზებით, ეს კვლევა ხაზს უსვამს გენდერის, აქტივიზმისა და კოლექტიური მეხსიერების შეხების წერტილების მნიშვნელობას.

This paper examines the involvement of Jewish dissident women in the anti-Soviet Jewish movement from the 1960s to the 1980s, a period coinciding with the Cold War, which was characterized by intense anti-Semitic oppression and restricted emigration rights. Through heroic actions such as protests, hunger strikes, and international advocacy, women resisted the Soviet government and its policies. They were not afraid to fight for Jewish identity and freedom. The main starting point of protest was the Six-Day War of 1967 and its repercussions in the Soviet Union – the desire to emigrate

to Israel. The Soviet government refused to allow Jews to emigrate. Such groups were called “refuseniks”. This kind of treatment of Jews gave motivation for the formation of an anti-Soviet dissident movement, underground activities, and soon gained international recognition.

The paper focuses on three key figures who embody this spirit of resistance. Raiza Palatnik, a Ukrainian librarian who was arrested in 1970 for distributing “Samizdat”. She endured psychiatric treatment and a labor camp. Her actions inspired Britain’s “35s” campaign, raising global awareness of the oppressive regime in the Soviet Union after her release and emigration to Israel in 1972. Ida Nudel, known as “the guardian angel”, turned her Moscow apartment into a center for “refuseniks”. She organized protests and support centers despite losing her job and four years of exile in Siberia. International advocacy secured her emigration to Israel in 1987, where she founded a non-profit organization for immigrant children. And Sylva Zalmanson, whose participation in the infamous 1970 “Wedding Operation”, an attempted hijacking of a plane, earned her a four-year prison sentence, but brought vital global attention to the struggle of Soviet Jews.

The main research question is: In what specific ways did Jewish women resist Soviet oppression, and what were the results of their activism? Using a qualitative research methodology, this paper captures the collective efforts and achievements of these women.

This topic is a priori important for memory studies, Soviet history, and women’s history. Because, in turn, it challenges male-centered narratives of heroism, emphasizing the crucial roles and personal sacrifices of women in resistance movements. Their efforts contributed to the emigration of Soviet Jews to Israel. By centralizing women’s stories, this study highlights the importance of the intersections of gender, activism, and collective memory.

**ქეთევან ბურჯანაძე – თარგმანის თეორეტიკოსი და
მთარგმნელი**

**KETEVAN BURJANADZE – TRANSLATION THEORIST AND
TRANSLATOR**

**რუსუდან ჭანტურიშვილი
Rusudan Chanturishvili**

საკვანძო სიტყვები: ქ. ბურჯანაძე, თარგმანის თეორია, ქართული
თარგმანი

Keywords: K. Burjanadze, Translation Theory, Georgian translation

თსუ-ის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის ინიციატივით გამოცემულ ორენოვან პოეტურ კრებულებსა და ჟურნალ „ეჟო სახიერის“ ნომრებში გამოქვეყნებულია კათედრის ღვაწლმოსილი მეცნიერის, ქეთევან ბურჯანაძის მიერ თარგმნილი ალ. პუშკინისა და მიხ. ლერმონტოვის ლექსები.

ქეთევან ბურჯანაძის წიგნში „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992), მის სხვა სამეცნიერო ნაშრომებსა და ჟურნალ „ეჟო სახიერის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში (2000-2004 წ.წ.) განხილულია მე-19 საუკუნის ქართველ პოეტთა მიერ თარგმნილი რუს პოეტთა ლექსები. მეცნიერის კვლევა მოიცავს თარგმანის თეორიის, ისტორიისა და ტიპოლოგიის საკითხებს.

პუშკინისა და ლერმონტოვის ქართული თარგმანების განხილვისას ქეთევან ბურჯანაძე პარალელს ავლებს ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებასთან.

ქეთევან ბურჯანაძის პოეტური თარგმანების განხილვისას მივყვები მისი კვლევის მეთოდს და მთარგმნელ ქეთევან ბურჯანაძის თარგმანებს მისი ბიოგრაფიის, ლექსებისა და გამოკვლევების ფონზე განვიხილავ.

Poems by Alexander Pushkin and Mikhail Lermontov have been translated by Ketevan Burjanadze, a distinguished scholar of the Department of National Literatures, Literature Relations and Translation at Tbilisi State University.

The above-mentioned translations were published in bilingual poetry collections and in various issues of the journal “Echo Sakhieri” at the initiative of the Department itself.

In her book “Issues of the History of Georgian Artistic Translation of the 19th Century” (1992), as well as in other academic works

and articles published in “Echo Sakhieri”(2000–2004), Ketevan Burjanadze gives a review of the translations of the poems written by Russian poets, made by 19th-century Georgian poets.

Her research addresses key aspects of the theory, history, and typology of those works.

While analyzing the Georgian translations of Pushkin and Lermontov, Ketevan Burjanadze draws parallels between the originals and a poetic view of Georgian poets.

In my discussion of Ketevan Burjanadze’s poetic translations, I follow her research methodology. I explore her works within the context of her own biography, poetry, and scholarly contributions.

ფრაზეოლოგიური იდიომი მცირე
წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ თარგმანებში

PHRASEOLOGICAL IDIOMS IN THE OLD GEORGIAN VERSIONS OF THE MINOR PROPHETS

ანა ხარანაული

Anna Kharanauli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი

The Center for Eastern Christian Studies

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიური იდიომი, ებრაიზმები,
მცირე წინასწარმეტყველები, სეპტუაგინტა, ძველი ქართული ენა,
თარგმანის ტექნიკა

Keywords: phraseological idiom, Hebraisms, Minor Prophets, Septuagint
(LXX), Old Georgian language, translation technique

ბიბლია ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ქრისტიანული წერილობითი ტექსტი უნდა ყოფილიყო, რომელმაც საფუძველი დაუდო ქართულ ქრისტიანულ სალიტერატურო ენას. უკვე „შუშანიკის წამება“ მთლიანად გამსჭვალულია ბიბლიის ენისთვის დამახასიათებელი ფრაზებითა და გრამატიკული კონსტრუქციებით, რომლებიც დღეს იმდენად ბუნებრივად ჟღერს და ისე მარტივად გასაგებია კონტექსტში, რომ ძნელია, უცხო ენის გავლენით შექმნილად ჩავთვალოთ. ალბათ, სწორედ ამიტომაც მიიჩნევა ეს ტექსტი ქრისტიანობამდელი ქართული ლიტერატურის არსებობის არგუმენტად.

თარგმანებში გამოვლენილი ბიბლიის ენის თავისებურებად, პირველ რიგში, ბიბლიის ორიგინალის ენის იდიომებს – „ებრაიზმებს“ მიიჩნევენ. „ებრაიზმი“ კი განიმარტება როგორც ებრაული/სემიტური ენის მახასიათებელი, რომლის პირდაპირი გადატანა სხვა ენაზე აზრს არ იძლევა. მაგრამ ეს „ებრაიზმის“ არაზუსტი განსაზღვრებაა, რაკი იშვიათია ენობრივი მოვლენა, რომელიც სრულიად გამორიცხულია ან უპრეცედენტოა სხვა ენაში. მაგ., ბევრი „ებრაიზმად“ წოდებული ენობრივი ფორმა აქა-იქ გვხვდება ბერძნულ ლიტერატურაში უკვე ჰომეროსიდან მოყოლებული და ელინისტური ხანის კოინეს ბერძნულით დაწერილ დოკუმენტებში. „ებრაიზმის“ ამგვარი განმარტება კიდევ უფრო ნაკლებად გამოსადეგია ძველი ქართულისათვის: განსხვავებით ბერძნულისაგან, რომლის სალიტერატუროცა და ყოფითი ენაც კარგადაა დამოწმებული წყაროებში, ქართულად არ არსებობს ბიბლიამდელი ტექსტები, რომელთა მეშვეობითაც მკვეთრი ზღვარი გაივლებოდა „ორიგინალურ ქართულ“ და უცხო ენის გავლენით შექმნილ ლექსიკას, ფრაზებსა და გრამატიკულ სტრუქტურებს შორის და კატეგორიულად გამოირიცხებოდა ქართულში ებრაულის მსგავსი ენობრივი მოვლენების არსებობა.

მოხსენება ეხება იმგვარ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც, მათი წარმომავლობის მიუხედავად, ბიბლიის ენის

სტილს ქმნის და მიზნად ისახავს, გაარკვიოს, რამდენად გაცნობიერებულად ცდილობს მათ ასახვას ტექსტში ძველი ქართველი მთარგმნელი. მაგალითად მოვიხმობ ე.წ. ებრაისტულ ფრაზეოლოგიას – სხვადასხვა შინაარსისა და ფუნქციის გამომხატველ ფორმულებს, განსაკუთრებით კი მიცემა, შეძინება, დადება, ყოფნა ზმნებით შექმნილ სინტაგმებს.

The Bible must have been the first Christian written text in the Georgian language on the basis of which the Georgian Christian literary language was created. The Martyrdom of Shushanik is already full of expressions and grammatical constructions typical of biblical language – now so native in sound and clear in context that it is difficult to perceive them as products of foreign linguistic influence. Perhaps this is precisely why the text is considered as an argument for the existence of pre-Christian Georgian literature.

Hebraisms/Semitisms – idioms of the Biblical Hebrew language – are regarded as primary features of biblical language of the Bible translations. A Hebraism is typically defined as a characteristic of the Hebrew/Semitic language the literal rendering of which into another language makes no sense. Yet this definition of a Hebraism is not entirely accurate, since there are practically very few linguistic features which have absolutely no analogues in other languages. For example, in ancient Greek many linguistic forms classified as Hebraisms are already sporadically attested by Homer as well as in Koine Greek papyri. Such a definition of a Hebraism is particularly inadequate when applied to Old Georgian: unlike Greek – whose literary and colloquial forms are well-attested in sources – there are no pre-biblical texts in Georgian. Therefore, we cannot draw a clear line between “original Georgian” linguistic appearances and those influenced by foreign languages.

This paper examines linguistic features of biblical language and seeks to clarify whether or not the Old Georgian translator considers them stylistic features. As an example, I will examine so-called Hebraistic phraseology – formulas with various meanings and functions, and particularly syntagms constructed with verbs such as მიცემა (δίδωμι) შეძინება (προστίθημι), დადება (τίθημι), ყოფნა (εἰμι).

პარემიოლოგიური შრეები ებრაული პოეზიის
ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებში

**PAREMIOLOGICAL LAYERS IN JEMAL AJIASHVILI'S
TRANSLATIONS OF HEBREW POETRY**

გიორგი ჯღარკავა

Giorgi Jgharkava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პარემიოლოგია, ებრაული პოეზია, თარგმანი

Keywords: paremiology, Hebrew poetry, translation

ჯემალ აჯიაშვილის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული საქმიანობა, როგორც მთარგმნელობითი მუშაობის, ისე ორიგინალური შემოქმედების მიმართულებით, მრავალმხრივ საყურადღებოა. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ებრაული პოეზიის თარგმანები, რომლებიც გამორჩეულია, ერთი მხრივ, საკუთრივ ენობრივი, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით. შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებში თვალნათლივ ჩანს ავტორის ოსტატობა და პოეტური ნიჭი, ენობრივი ალღო, რომელიც ქართული სიტყვის მრავალსაუკუნოვანი კულტურითაა ნასაზრდოები.

მოხსენებაში ვრცელი ემპირიული მასალის ფონზე გაანალიზებულია პარემიულ ერთეულთა სემანტიკა და ფუნქცია ჯემალ აჯიაშვილის თარგმანების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი პარემია (ბერძნ. Παροιμία), ვიწრო მნიშვნელობით, ანდაზის სინონიმად გამოიყენება; შესაბამისად, ანდაზების შემსწავლელ დარგს პარემიოლოგიას უწოდებენ, თუმცა ამ ცნების ფართო გაგება გულისხმობს „პარემიაში“, გარდა ანდაზებისა, იგავები, აფორიზმები და მსგავსი გამონათქვამებიც მოვიაზროთ. მოხსენებაში სწორედ ეს უკანასკნელი – ფართო მნიშვნელობაა გათვალისწინებული და ამის მიხედვით შესწავლილია პარემიოლოგიური შრეები ებრაული პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებში.

Jemal Ajiashvili's active socio-political and literary work is noteworthy in many respects – both in the field of translation and in his original creative output. Within his literary legacy, particular interest is drawn to his translations of Hebrew poetry, which stand out both linguistically and from an artistic-aesthetic point of view. In

his translations of medieval Hebrew poetry, Ajiashvili's mastery and poetic talent are clearly evident, along with his linguistic sensitivity, which is deeply rooted in the centuries-old tradition of the Georgian language.

This paper analyzes the semantics and function of paremic units in Jemal Ajiashvili's translations, based on a broad body of empirical material. It should be noted that in scholarly literature, the term *paremia* (from Greek Παροιμία) is often used narrowly as a synonym for 'proverb'; accordingly, the study of proverbs is referred to as *paremiology*. However, in its broader sense, the term includes not only proverbs, but also parables, aphorisms, and similar expressions. This broader understanding is applied in the paper, and the *paremiological* layers in Jemal Ajiashvili's translations of Hebrew poetry are studied accordingly.

Ne volorpo raestio dolendit autas esti toritat et, optati omnibus dolupit aeriorit re am, eserita naturem facea de videl intia natio tem sequi ditius eribus quas ducipictiore idem apitatur si utem rectium ullaceperume cum dessi as eum cusi cum aut ipiene ad que velest, cupitatiis alignis idenis que vent, iustrum nonsecusa nem ullam voluptistrum aliberchicit essum si ide premolo remolorest endiciur, es estrum nonsequae volorum saperum conse dolupta nia aut eum doluptatem audae. Ut re dus ium sequiate sum quam vent ped mo escim nias maximenis es auda eium ut pliquo quiaepe rferae pa earciis re pa cus sunt liquuntet dem quia comni sundandae verspel ectur?

Enimolo dolorerferro offic tectur? Quia as si blaborum ea disporum quo bea ne pelique diciis mi, qui debistis que estia nimus a dolorer ferumquam laccatento idempore volupta numet untusciis debisquae corepudis quid quo quae sit ulpa nate num is etus exerepe sunt ad qui tenis re net occus explit rerum reic te quo consequam quid most, id et hitium hil inullat plam re si volorrovidOvit que

